

# 24 საათი

"24 საათის" ფიქციური ნომერი

\*2424

ინილეთ ჩანართი



ქუთაისის ინდუსტრიული ზონის გადართობა მემორანდუმით გაფორმდა

A5



თურქეთი ევროკავშირში - ობამას ახალი გზავნილი

A8



## და ბათინდება 9 აპრილი

9 აპრილამდე ქვეყანა მოლოდინის რეჟიმში ცხოვრობს. როგორც გასული კვირის მიწურულს გახდა ცნობილი, აქციების გამართვა დაგეგმილია რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობასთან, საზოგადოებრივი მაუწყებლობის შენობის წინ, ავლაბრის მეტროსთან, სახელმწიფო უნივერსიტეტთან და პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან, გადაიკეტება შაენაბადას რეზიდენციის მიმართულებით მიმავალი გზატკეცილი, აქციის ორგანიზატორები, კახა კუკავასა და კოკა გუნცაძის სახით, იმედოვნებენ, რომ აქციაზე 150 000 ადამიანი მივა. ორგანიზატორები ხალხს ერთი მთავარი - მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით კრებენ. ვინ რას ელის ამ დღისგან - როგორია პოლიტიკოსთა მოლოდინები? ამის გარკვევას "24 საათი" შეეცადა.

თამარ ხორბალაძე

ეკა ბესელია, "მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის": "9 აპრილი გადამწყვეტი მნიშვნელობის დღე იქნება. მი-

უხედავად იმისა, რომ არ ველოდებით ყველაფრის 9-ში დამთავრებას, საპროტესტო აქციაზე მოსული ხალხის დიდი რაოდენობა რეჟიმის წინააღმდეგ დიდი საპროტესტო მუხტის არსებობის ნიშანი იქნება.

ეს უნდა დაინახოს არა მხოლოდ სააკაშვილმა, არამედ საერთაშორისო საზოგადოებამაც.

9 აპრილის შემდგომ რა იქნება, ეს მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები 9 აპრილს. დღეს იმის განსაზღვრა, რამდენ დღეს გაგრძელდება პროტესტი და რა ვადაში დამთავრდება, პოლიტიკური ანალიზის ფარგლებს სცილდება. ჩვენ განვავარაუდებთ პროტესტს იმდენ ხანს, რამდენი დღეც დაჭირდება სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნის შესრულებას. ეს არის მთავარი მოთხოვნა და ეს მოთხოვნა არ მოიხსნება."

დავით ზურაბიშვილი, "რესპუბლიკელები":

"9 აპრილს ჩვენ ველით ხალხის ნების ძალიან სერიოზულ დემონსტრირებას, ხალხის მიერ იმის დემონსტრირებას, რომ ქვეყანაში აუცილებელია რადიკალური ცვლილებები, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა.

ამის შემდეგ, ჩვენი ხედვით, მოვლენები აბსოლუტურად კონსტიტუციურ ფარგლებში უნდა განვითარდეს. ჩვენ არ განვიხილავთ 9 აპრილს, როგორც აპოკალიფსურ თარიღს, როცა ყველაფერი ან არაფერი უნდა გადაწყდეს ან მორჩეს.

ბაზრქალაბა A4 გვირგვინი

## მიწისძვრა იტალიაში

"ახალი ათასწლეულის ყველაზე დიდ სტიქიური უბედურება" აპენინზე

მარია იაშვილი

90-ზე მეტი გარდაცვლილი, 1 500 დაზარალებული და 40 ათასამდე უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანი - ასეთია 6.3-ბალიანი მიწისძვრის შედეგები, რომელიც იტალიაში ორშაბათს გამოთენიას მოხდა.

იტალიის ცენტრალურ ნაწილში, აბრუცოს რეგიონში მომხდარ მიწისძვრას უმძიმესი შედეგები მოჰყვა. მიწისქვეშა ბიძგებმა, საერთო ჯამში, რეგიონის 26 ქალაქი დაზარალა. ყველაზე მძიმე ვითარება პატარა ისტორიულ ქალაქ აკვილაშია. გარცემული ინფორმაციით, იქ გარდაცვლილთა შორის 5 ბავშვიცაა.

გარდაცვლილთა რაოდენობის შესახებ პირველი კომენტარი შემთხვევის ადგილზე ჩასულმა ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა რობერტო მარონიმ გააკეთა. თავდაპირველად 40 გარდაცვლილის შესახებ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომელთაგან ხუთი ბავშვი იყო.

ბაზრქალაბა A8 გვირგვინი



AFP - 2009

## გამოსვლა მეორე - იბივანი

საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის სახელმწიფო კომისიის შექმნა იგეგმება

დათო ბაჩისონია

გუშინ ხელისუფლებასა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის დიალოგის ფარგლებში მეორე შეხვედრა გაიმართა. "საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდში" გამართულ მოლაპარაკებებს "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის", "ქრისტიან-დემოკრატების" და ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" წევრები დაესწრნენ, დიალოგში არასამთავრობო

ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრ დიმიტრი შაშკინის ინიციატივით გამართულ შეხვედრას არასაპარლამენტო ოპოზიცია, როგორც მოსალოდნელი იყო, არ დასწრებია.

გასულ კვირას გამართული მოლაპარაკების პირველ რაუნდზე მხარეებმა წინადადებები წარმოადგინეს და განსახილველ

საკითხთა ნუსხა განსაზღვრეს. გუშინდელ შეხვედრას კი სამუშაო დატვირთვა ჰქონდა. საპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა ქვეყანაში სისტემური ცვლილებების აუცილებლობაზე ისაუბრეს, ხოლო "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. ედუ-ს თავმჯდომარემ ბაჩუკი ქარდავამ ამ საკითხის შესახებ საკუთარი არგუმენტაცია წერილობით წარუდგინა დიმიტრი შაშკინს. ქარდავამ ხელისუფლებას შესთავაზა სახელმწიფო დონის კომისიის ჩამოყა-

ლიბება, რომელიც საქართველოს ახალი კონსტიტუციის შექმნაზე იმუშავებს. გუშინდელ შეხვედრაზე დიმიტრი შაშკინმა და საპარლამენტო ოპოზიციამ სახელმწიფო კომისიის შექმნის საკითხზე შეთანხმებას მიაღწიეს. მათ შემდეგი შეხვედრის თარიღად 14 აპრილი დაასახელეს. გუშინდელი მოლაპარაკებების შემდეგ დიმიტრი შაშკინმა განაცხადა, რომ "საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ ოპოზიციის ყველა წინადადება განვიხილეთ.

ბაზრქალაბა A3 გვირგვინი



ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს საქართველოში იაპონიის ახლად დანიშნულმა ელჩმა მასაოში კომალარამ რწმუნებათა სიგელი გადასცა. ჯი-ეიჩი-ენი

თბილისი. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს უკრაინაში მცხოვრები ქართველები ეხმიანებიან და ხელისუფლებასა და ოპოზიციას დიალოგის მაგიდასთან დასხდომისკენ მოუწოდებენ. ჯი-ეიჩი-ენი

თბილისი. რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ მიღებული განკარგულების თანახმად, 2009-2010 წლებში ე.წ. სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის საელჩოს შენობათა კომპლექსი აშენდება." ჯი-ეიჩი-ენი

თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამობატავს ღრმა მწუხარებას 2009 წლის 6 აპრილს, იტალიის სამხრეთში, აბრუცოს რეგიონის ქალაქ აკვილაში მომხდარი მიწისძვრის გამო. მედიანუსი

საგარეო უწყება როგოზინის განცხადებას ეხმიანება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დიმიტრი როგოზინის განცხადებას ეხმიანება. საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორ ზურაბ კაჭკაჭიშვილის განცხადებით, როგოზინის განცხადებების შეფასება მხოლოდ იუმორით შეიძლება და არა სერიოზულად.

"ბატონ როგოზინის მიერ გაკეთებულ განცხადებას თავად კომუნიკე პასუხობს, რომელშიც ნათქვამია, სად არის საქართველო და სად არის უკრაინა. ნატო-ს დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საქართველო და ნატო კვლავ განაგრძობენ წარმატებულ სვლას ნატო-ს წევრობისაკენ და თავად ალიანსი შეუნყოფს მათ ამაში ხელს," - განაცხადა ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე ზურაბ კაჭკაჭიშვილმა.

პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის განმარტებით, როგოზინის მიერ გაკეთებული განცხადება "უფრო წუხილი და სინანული იმისა, რომ როგოზინის მოლოდინები არ გამართლდა, რომლის მიხედვითაც ნატო-ს სამიტზე უკრაინისა და საქართველოს საკითხი საერთოდ არ განიხილებოდა. როგოზინის სერიოზული ოპონირება არც კი მსურს."

ცნობისათვის - ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა განაცხადა, რომ უკრაინა და საქართველო დღეს ნატო-სგან უფრო შორს არიან, ვიდრე ეს 5-6 წლის წინათ იყო. ჯი-ეიჩი-ენი

ბესარიონ აპლია საქართველოს პატრიარქის ვიზიტის წინააღმდეგია

სეპარატისტულ აფხაზეთში მოქმედი ე.წ. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს სეპარატისტული აფხაზეთის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ პროვოკაციაში ადანაშაულებს.

ეს მორიგი პროვოკაციაა, ჩვენ იგი აფხაზეთში არ დაგვიპატიჟებია. საინტერესოა, რა გზით აპირებს იგი კოდორის ხეობაში მოხვერას?!" - აცხადებს ე.წ. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ხელმძღვანელი ბესარიონ აპლია და დასძენს, რომ სრულიად საქართველოს პატრიარქის ვიზიტის განხორციელება აფხაზეთში შეუძლებელია. ეს განცხადება სეპარატისტული აფხაზეთის წარმომადგენელმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოს ილია II-ის გადაწყვეტილების კომენტარებისას გააკეთა, რომლის მიხედვითაც, პატრიარქმა მისი კოდორის ხეობაში გამგზავრების სურვილი გამოთქვა.

"ამგვარი ვიზიტის განხორციელების შესაძლებლობაზე საუბარიც კი ზედმეტია. პატრიარქი თავს უფლებას აძლევს და პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს. იგი ასევე აძლევს თავს უფლებას, ამტკიცოს, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და რომ აფხაზეთი არასდროს იქნება ჩამოცილებული საქართველოს," - აცხადებს რუსულ მედიასთან საუბარში აპლია. ჯი-ეიჩი-ენი

სეპარატისტები ეწ საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ახალგორშიც გეგმავენ

ოსი სეპარატისტები ე.წ საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ახალგორშიც გეგმავენ.

გავრცელებული ინფორმაციით, კოკოითის ხელისუფლება ცდილობს, მოძებნოს ეთნიკურად ქართველი, რომელიც 31 მაისის არჩევნებში ახალგორიდან იყრის კენჭს.

სეპარატისტების ვარაუდით, ამ ფაქტს საერთაშორისო გამომხაურება მოჰყვება.

ქართველი დეპუტატების განცხადებით, სეპარატისტები კრემლის სცენარით მოქმედებენ. პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია აცხადებს, რომ ახალგორში არჩევნებს სეპარატისტები ვერ ჩატარებენ, იქედან გამომდინარე, რომ მათ არავითარი საერთაშორისო მხარდაჭერა არ ექნებათ. ჯი-ეიჩი-ენი

ბიორბი ასანიშვილი

9 აპრილის წინ ხელისუფლება სხვადასხვა ინიციატივებით ცდილობს, რომ რადიკალური ოპოზიციის საპროტესტო განწყობა შეარბილოს და პოლიტიკური ოპონენტები დიალოგზე დაიყოლიოს. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან სახელისუფლებო ფრაქციის წევრთა გუშინდელი შეხვედრის წინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ოპოზიციისთვის ახალი შეთავაზებები მზადდებოდა. თუმცა, ეს ვარაუდი არ დადასტურდა: პარლამენტის ბიუროს სხდომაზე სპიკერმა დავით ბაქრაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავლაბრის რეზიდენციაში გამართული შეხვედრის მთავარი თემა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება, კერძოდ კი, მათთვის საცხოვრებელი ფართის დაკანონება იყო.

"დიალოგის ახალ ფორმებსა და ახალ წინადადებებზე საუბარი არ ყოფილა. ყოველდღე ახალი ინიციატივებით ვერ გამოვალთ. ისედაც უკვე არსებობს საკითხების საკმაოდ ფართო სპექტრი, რომელზეც ხელისუფლება და ოპოზიცია შეიძლება შეთანხმდნენ," - აცხადებს პარლამენტის სპიკერი, რომელიც პოლიტიკური კონსენსუსის თემებზე ასახელებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდის მიზნით საკონსტიტუციო

ოპოზიციის "დერადიკალიზაციის" მსდებლობა

ცვლილებების მიღებას, თვითმმართველობის სფეროს დახვეწას...

პარლამენტის თავმჯდომარე საკმაოდ დიდ იმედებს ამყარებს დიმიტრი შაშკინის შუამავლობით ხელისუფლებასა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის მიმდინარე დიალოგზე. მისი ერთ-ერთი მონაწილე, პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე, თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ უკვე მოხდა შეთანხმება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაკომპლექტდეს ახალი კონსტიტუციის პროექტზე მომუშავე სახელმწიფო კომისია. ვეფხვაძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებასა და საპარლამენტო უმცირესობას შორის მოლაპარაკებები ვითარების განმუხტვისთვის საკმარისი არ არის და მმართველი გუნდის მოვალეობაა, რომ დიალოგში მონაწილეობის მოტივაცია რადიკალურ ოპოზიციასაც გაუზრდევს.

თუმცა, სახელისუფლებო გუნდს ეს საყვედური უსაფუძვლოდ მიაჩნია.

"ჩვენ უკვე ბევრი ნაბიჯი გადავდეთ იმისთვის, რომ ყველა პრობლემა დიალოგის გზით მოგვარდეს," - აცხადებს დავით ბაქრაძე. იგი იმედოვნებს, რომ რადიკალური ოპოზიცია ბოლოს მაინც დათანხმდება დიალოგს, ვინაიდან "დიალოგის გზა უფრო პერსპექტიულია, ვიდრე რადიკალიზმის." "თუ პოლიტიკურ ცხოვრებას დასჭირდება, ხელისუფლება ნებისმიერი ცვლილები-

სა და ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადასადგმელად არის მზად," - რადიკალურ ძალებთან თანამშრომლობის მზადყოფნას ადასტურებს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი.

ერთ-ერთ ასეთ ნაბიჯად იგი ასახელებს გიგი უგულავას ინიციატივას, რომელიც თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევას გულისხმობს.

კონკრეტულ წინადადებებთან ერთად, ხელისუფლება ოპოზიციის ნაწილის "დერადიკალიზაციას" შეგონებებითაც ცდილობს.

მმართველი გუნდი პოლიტიკურ ოპონენტებს ურჩევს, გაითვალისწინონ ქართველი ემიგრანტებისა და ქართული სათვისტომოების ის მოსაზრებები, რომლებიც 9 აპრილისთვის დაგეგმილი მასობრივი საპროტესტო აქციებისგან მომდინარე დესტაბილიზაციის საფრთხეს შეეხება.

"ქართველი ემიგრანტები სერიოზულ შემოთქვამს გამოთქვამენ საქართველოში მოსალოდნელი მოვლენების გამო და ქართველ ერს ერთობისა და კონსოლიდაციისკენ მოუწოდებენ," - განაცხადებს გუშინ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ერთიერთობის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ნიკლაურმა და სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში იულონ გაგოშიძემ.

დიალოგის აზრი - ორმხრივობა

პრეზიდენტის შეხვედრა საპარლამენტო უმრავლესობასთან

ნათია მსხილაძე

გუშინ ავლაბრის რეზიდენციაში ქვეყნის პრეზიდენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის შეხვედრას აღმასრულებელი ხელისუფლებიდან ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი ესწრებოდა. უმრავლესობის წარმომადგენლების განცხადებით, საუბარი, ძირითადად, დევნილების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას შეეხო.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა პრეზიდენტისაგან კონკრეტული დავალებები მიიღო, რომელთა მიხედვითაც დევნილებისთვის საკუთრების დაკანონების პროცესში მათი ინტერესები დეპუტატები უნდა ჩაერთონ. "ჩვენ თანამშრომლობით ადგილობრივ გამგეობებთან, რათა დევნილების შესახებ მონაცემთა ბაზა შეიქმნას. მათი საცხოვრებელი პირობების დაკმაყოფილება 2010 წლის პირველი ნახევრისთვის

უნდა დასრულდეს. უნდა მოხდეს ყველა იმ დევნილის დაბინავება, რომლებიც ქირით ან ნათესავეებთან ცხოვრობენ. ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, თუ რამდენი ადამიანია დასაკმაყოფილებელი," - განაცხადა მინისტრმა.

გაზეთი "24 საათი" შეეცადა იმის გარკვევას, იყო თუ არა საუბარი ოპოზიციასთან დიალოგის ახალი ფორმებისა და ინიციატივების შესახებ. "დიალოგის ახალ ფორმასა და ინიციატივებზე საუბარი არ ყოფილა. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დიალოგისთვის. სამწუხაროა, რომ ოპოზიციის მხრიდან დადებით სიგნალებს ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ, თუმცა მათთვის კარს ღია დავტოვებთ," - აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრაზე ოპოზიციასთან დიალოგის ახალი ფორმებისა და ინიციატივების შესახებ საუბარი არ ყოფილა, ხელისუფლების შეთავაზება ოპოზიციასთან დია-

ლოგის გამართვის შესახებ, ძალში რჩება. "ყოველდღე ახალი შეთავაზების გაკეთება შეუძლებელია, რადგან ეს არის დიალოგი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე და არა რაიმე კონიუნქტურულ პრინციპებზე დარყნობით," - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ.

ევროინტეგრაციის საკითხებში საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილის აზრით, ულტიმატუმით საუბარს ხელისუფლება ვერ მიიღებს. "ოპოზიციას მრავალჯერ შეთავაზებთ დიალოგი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მაგრამ დიალოგს მაშინ აქვს აზრი, როცა ის ორმხრივია. ულტიმატუმით საუბარი არც ქვეყნისთვის არის კარგი და არც დიალოგისთვის. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ხელისუფლება მნიშვნელოვან საკითხებზე დიალოგისთვის მზად არის," - განაცხადა დარჩიაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გოკა გაბაშვილი კი ხელისუფლების დათმობებზე

მათი თქმით, ქართველი ემიგრანტები და სათვისტომოები ქვეყნის მთავარ პრობლემად საქართველოს ოკუპაციას მიიჩნევენ და საზოგადოებას ამ საკითხის ირგვლივ კონსოლიდაციისკენ მოუწოდებენ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა გუშინ ერთ დეტალზეც გაამახვილეს ყურადღება, რომელიც შეიძლება 9 აპრილის აქციის დროს საფრთხის შემცველი გახდეს. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გიგი თარგამაძის თქმით, 9 აპრილის აქციის მონაწილეებისთვის იქნენ სამხედრო ფორმებს, რათა მიტინგზე განაცხადონ, რომ საპროტესტო აქციას სამხედრო მოსამსახურეებიც შეუერთდნენ...

პრეტენზიებს გამოთქვამს ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირებაში ირიბად ჩართული ჯონდი ბალათურიც. "ქართული დასის" ლიდერი მმართველ გუნდს იმ ადამიანების გათავისუფლებისკენ მოუწოდებს, ვისაც იგი პოლიტპატიმრებს უწოდებს. ასეთ პიროვნებებზე ბალათურიას მიანიხნა ნორა კვიციანი, დემურ ანთია, მაია თოფურია, ზაზა დავითაია, ვახტანგ ტალახაძე და თემურ ჟორჯოლიანი. "ქართული დასის" ლიდერის თქმით, შარშან მან შეწყალების კომისიას 20-მდე პოლიტპატიმრის სია გადასცა, მაგრამ მათგან მხოლოდ თამაზ ბაკურიძე და არჩილ ბენიძე გაათავისუფლეს.

საუბრობს. მისი თქმით, თუ პოლიტიკურ ცხოვრებას დასჭირდა, ხელისუფლება ნებისმიერი ცვლილებისთვის მზად არის, თუმცა პოლიტიკური ცვლილებების გატარება შეიძლება მხოლოდ ოპოზიციასთან დიალოგის ფორმატში მოხდეს და არა ცალმხრივად. "საჭიროა არსებობდეს კონსენსუსი ორივე მხრიდან. ცალმხრივად არაფერი გამოვა. ცალმხრივი ნაბიჯების გადადგმა არასწორია. სახელისუფლებო გუნდი მზად არის, ოპოზიციისთვის შეთავაზებული დიალოგის ფარგლებში, პოლიტიკურ ოპონენტებს კომპრომისული წინადადებები შესთავაზოს. ხელისუფლება განიხილავს თბილისის მერის პირდაპირი გზით არჩევას და ამ პრინციპით 2010 წლის გაზაფხულზე ვადადელი თვითმმართველობის არჩევნებს ჩატარებას. ჩვენ მზად ვართ, წავიდეთ ამ დათმობაზე, მანამდე კი პარლამენტში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები მომზადდება," - აღნიშნა გოკა გაბაშვილმა.



# გამოსვლა მორა - იბივანი

პირველი პერიოდი

ზუსტად ერთ კვირაში ჩვენ ჩამოვყალიბდებით და დარწმუნებული ვარ, რომ არსებულ პრობლემებს დიალოგის რეჟიმში მოვაგვარებთ."

თავის მხრივ, მოლაპარაკებების დეტალებზე ყურადღება გაამახვილა "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" თავმჯდომარემ ბაჩუკი ქარდავამ. "დიალოგის პროცესში ქვეყნის პირველი პირის პოზიცია გადმოგვეცეს. საკონსტიტუციო კომისიის შექმნაზე არსებობს მისი პრინციპული თანხმობა. უფრო მეტიც, ვისაუბრეთ, თუ როგორ წარმოვედგინოთ კომისიის შექმნა," - აღნიშნა ქარდავამ. თუმცა, ჯერჯერობით კომისიის შექმნის ვადა და შემადგენლობა განსაზღვრული არ არის. "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერს კომისიის შემადგენლობის შესახებაც აქვს საკუთარი შეთავაზუ-

ბა. "სახელმწიფო კომისიას საქართველოს პრეზიდენტმა უნდა უხელმძღვანელოს, რათა მიღებულ გადაწყვეტილებას მხარეები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ. გარდა ამისა, კომისიის შემადგენლობაში იქნებოდნენ ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები და პოლიტიკური სუბიექტები," - განმარტა ქარდავამ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება კონსტიტუციის ახალი რედაქციის შექმნას მხარს უჭერს, ქვეყნის უმთავრესი საკანონმდებლო აქტიდან რამდენიმე მუხლის შეცვლის ნინააღმდეგია. "ხელისუფლებას არ სურს მოქმედი კონსტიტუციით გათვალისწინებული იმ მუხლის შეცვლა, რომლის მიხედვითაც მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წელს უნდა გაიმართოს," - აღნიშნა ქარდავამ. გუშინდელ შეხვედრაზე მან ხელისუფლების წარმომადგენლებს განუცხადა,

რომ "როცა მსჯელობა კონსტიტუციის შეცვლას ეხება, იქ ე.წ. ნითელი ხაზების პოლიტიკა უნდა დავივიწყოთ, კერძოდ - მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების 2013 წელს ჩატარების თემა. ამიტომ, როცა შევიმუშავებთ და სახალხო რეფერენდუმით დავამტკიცებთ კონსტიტუციას, მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება არჩევნების დანიშვნის თარიღზე საუბარი," - აღნიშნა ქარდავამ

დემიტრი შაჰინის კოორდინირებით გამართული დიალოგით კმაყოფილია მოლაპარაკებებში მონაწილე "ქრისტიან-დემოკრატი" ლევან ვეფხვაძე. მისი თქმით, "საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე სახელმწიფო კომისიის შექმნა წინ გადადგმული ნაბიჯია." მან ხელისუფლებას იქვე მოუწოდა, რომ იმუშაოს დიალოგში რადიკალური ოპოზიციის ჩართვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დეპუტატის აზრით, პასუ-

ხისმგებლობა სწორედ ხელი-სუფლებას ეკისრება. საპარლამენტო ოპოზიციის შეთავაზების პარალელურად, ოპოზიციურ ძალებს თანამშრომლობისკენ მოუწოდა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა. მან განმარტა, რომ ამ ეტაპზე კონკრეტული საკონსტიტუციო ცვლილებები შემუშავებული არ არის. "კანონში ერთი რომელიმე ჯგუფის ან პოლიტიკური ძალის მიერ შემუშავებული ცვლილება არ უნდა შედიოდეს. ყველა იმ საკითხის შესახებ, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებებს ეხება, ჩვენ დიალოგისთვის გახსნილები ვართ და თუკი პოლიტიკური ძალები პოლიტიკურ ნებას გამოხატავენ, მათ შეუძლიათ კონსტიტუციაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანაში მიიღონ მონაწილეობა," - მიიჩნევს უმრავლესობის წევრი.

**ოპოზიცია რეგონებში**

9 აპრილის ორგანიზატორი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები გუშინ ქვემო ქართლი გაემგზავრნენ. ოპოზიციის ლიდერებმა კახა კუკავამ, ზვიად ძიძიგურმა და კობა დავითაშვილმა მარნეულში, ბოლისსა და დმანისში საინფორმაციო მიტინგი გამართეს.

აღნიშნული აქცია თბილისში დაგეგმილი საპროტესტო მსვლელობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას ითვალისწინებდა.

"კონსერვატიული პარტიის" წევრ კახა კუკავას განმარტებით, ქვემო ქართლი ყოველთვის მიიჩნეოდა ხელისუფლების მხარდამჭერად, ახლა კი სიტუაცია საგრძობლად შეიცვალა და ქვემო ქართლი მიხედავად სააკაშვილის გადაყენებაში ერთ-ერთ გამაძმყვეტ როლს ითამაშებს.

"დღეს უფრო მეტი ხალხი უნდა მოსულიყო, მაგრამ ხდება მათი დაშინება გუბერნატორ კირკიტაძისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან. შიშით, ძალადობითა და მოტყუებით მმართველობა დიდხანს ვერ გაძლებს," - აღნიშნა "ხალხის პარტიის" ლიდერმა კობა დავითაშვილმა.

გუშინვე კახეთში მყოფმა ირაკლი ალასანიამ აღიანის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებად ყოფილი მოქალაქეობის და ნასამართლევი პირების დანიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ "შტაბებს ხელმძღვანელებენ ისინი, ვისაც ხალხი ენდობა". ამის შესახებ ცნობას კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს.

ცნობისათვის - კახეთის რამდენიმე რაიონში, ალასანიას, "ახლებისა" და "რესპუბლიკელების" აღიანის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებად "მოქალაქეთა კავშირის" ყოფილი აქტივისტები დანიშნენ. ახმეტის შტაბის უფროსად კი აღიანსა ქალაქ ახმეტის ყოფილი გამგებელი, სამსახურბრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის ნასამართლევი ზაქარია ქინქლაძე წარადგინა. საკუთარი ინფორმაცია

# თანდათანობითი სიმტკიცე

აშშ-სა და ნატო-ს კატეგორიულ პოზიციას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ მოსკოვი თბილისისა და დასავლეთის მიმართ ახალი ბრალდებებით, სიცრუითა და ახალი "პოლიტიკური რუკების" გამოცემით პასუხობს. საქართველოს პრეზიდენტი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია წინამორბედზე უფრო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს.



AFP - 2009

"შემაშფოთებელია, რომ თბილისში საომარი რიტორიკა დღესაც არ წყდება," - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა "როსიის-კაია გაზეტასთვის" მიცემულ ინტერვიუში.

სერგეი ლავროვი საქართველოს მიმართ მორიგი ბრალდებებით გამოვიდა და აღნიშნა, რომ "არის სერიოზული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ახალი ძალისმიერი პროვოკაციები მზადდება."

"სამწუხაროა, რომ ამ ფონზე თბილისის ზოგიერთმა მეგობარმა სააკაშვილის რეჟიმის შეიარაღება დაიწყო," - განაცხადა სერგეი ლავროვმა.

მან კვლავ გაიმეორა ოფიციალური მოსკოვის პოზიცია იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებასთან დიალოგზე ნასვლას არ აპირებს. "საკაშვილთან მიმართებით ილუზიები არ გვაქვს. ჩვენ მთელი ამ წლების განმავლობაში საქართველოსთან ნორმალური თანამშრომლობის აწყობას ვცდილობდით," - აღნიშნა მინისტრმა.

მან 2005 წელს საქართველოში ვიზიტი გაიხსენა და აღნიშნა, რომ თბილისში მაშინ პუტინის დავალებით იმყოფებოდა. ლავროვის თქმით, მაშინ გადაწყდა საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანა, სანაცვლოდ კი თბილისს რუსეთთან ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრი უნდა შეექმნა და მიეღო კანონი უცხოური ბაზების განუთავსებლობის შესახებ.

"ჩვენი ნაწილი შევასრულეთ, სააკაშვილს კი არაფერი

შეუსრულებია," - აღნიშნა ლავროვმა.

მან ასევე განაცხადა, რომ რუსული მხარე მზად იყო, "კონფლიქტები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის ფარგლებში დაერეგულირებინა." ამის შესახებ, თითქოს, პრეზიდენტმა მედვედევმა ქართველ კოლეგას 6 ივნისს განუცხადა. თბილისმა კი, თითქოს, სოხუმთან და ცხინვალთან ძალის არგამოყენებაზე შეთანხმებების გაფორმების პირობა დადო.

ლავროვმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე მსჯელობა ივლისის შუა რიცხვებამდე მიმდინარეობდა, მას შემდეგ კი საქართველომ კონტაქტები შეწყვიტა.

იმავედროულად, რუსული მედიის ცნობით, ლავროვმა სამხრეთ ოსეთის ე.წ. საელჩოს გადასცა რუსეთში მოსოცემული ახალი პოლიტიკური რუკა, რომელზეც აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სა-

ხელმწიფოებად არის მითითებული.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ამ ფაქტს მსოფლიო რუკის შეცვლის კომიკური მცდელობა უწოდა და აღნიშნა, რომ "საბედნიეროდ, მოსკოვში დაბეჭდილი რუკებით მსოფლიოს გადაკეთება დღეს უკვე შეუძლებელია."

ოფიციალური მოსკოვის ამგვარი განცხადებები და ქმედებები გახდა პასუხი ნატო-სა და აშშ-ს მიერ წინა დღეებში დაფიქსირებულ პოზიციაზე. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის გაუქმება და საქართველოდან ჯარის გაყვანა მოსთხოვა. აშშ-ს პრეზიდენტმა, თავის მხრივ, საჯაროდ განაცხადა, რომ გმობს რუსეთის "შეჭრას" საქართველოში.

"შეერთებული შტატები გადაჭრით ემხრობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არ აპირებს სეპარატისტული რეგიონების ცნობას," - განაცხადა ბარაკ ობამამ ჩხეთში ვიზიტის დროს.

აშშ-სა და ნატო-ს პოზიციას გუშინ საქართველოს პრეზიდენტი გამოეხმაურა. "შეერთებული შტატების წინა ადმინისტრაციას საქართველოს შესახებ იმ განცხადებების ნახევარიც არ გაუკეთებია, რაც მოკლედ დროში ბარაკ ობამამ გააკეთა. წინა ადმინისტრაცია რუსეთის შეტევას ძალის გადამეტებას უწოდებდა, ობამამ კი თქვა - ეს იყო შეჭრა, აგრესია, ოკუპაცია. მან ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, "სწორედ ეს არის საქართველოს მხარდაჭერა." სააკაშვილმა ასევე დადებითად შეაფასა ნატო-ს გენერალური მდივნის განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველო აღიანის ნევრი სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან ერთად გახდება.

# ოპოზიციის მხარდამჭერებს შვილების და ახლობლების დაჭერით ემუქრებიან

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ 9 აპრილს თბილისში საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით დაგეგმილ აქციას რეგონებში მოსახლეობა რომ არ შეუერთდეს, მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი ხელისუფლება და სამართალდამცავი სამსახურები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება.

რაიონებში გამგებლებმა, საკრებულოს თავმჯდომარეებმა და პოლიციის უფროსებმა საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სამსახურების ხელმძღვანელებს მოსთხოვეს, უზრუნველყონ, რომ საპროტესტო აქციაზე არც ერთი თანამშრომელი და არც მათი ოჯახის წევრები არ წავიდნენ. გარდა ამისა, რამდენიმე დღეა, სოფლებში პოლიციელთა ჯგუფები დადიან და იმ ოჯახებს, რომლებსაც ოპოზიციის მხარდამჭერებად მოიხარებენ, ემუქრებიან, რომ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში მათ შვილებს და ახლობლებს დაიჭერენ.

საგულისხმოა, რომ რეგონებში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერების სტუმრობას და მოსახლეობასთან ყველა შეხვედრას მუნიციპალიტეტების გამგებების პრესსამსახურების წარმომადგენლები ვიდეოკამერით აღბეჭდვენ. ოპერატორები განსაკუთრებული ყურადღებით შეხვედრის მონაწილეებს იღებენ. გარდა ამისა, ხელისუფლების ოპონენტი პოლიტიკოსების შეხვედრებს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებიც აკონტროლებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# რუსთაველის გამზირზე სამედიცინო კარავი გაიხსნება

"ეროვნულ ფორუმთან" ექიმთა სამოქალაქო კომიტეტი დაფუძნდა, რომელიც 9 აპრილს დაგეგმილ აქციაზე მედიკოსთა მონაწილეობის კოორდინაციას განახორციელებს და მომიტინგეთა ჯანმრთელობაზე იზრუნებს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ განაცხადა, კომიტეტში განვერანება შეუძლიათ როგორც უპარტიო ექიმებს, ისე სხვა პოლიტიკური პარტიების წევრებსაც.

ექიმთა სამოქალაქო კომიტეტის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელ მარინა ბერაძის განცხადებით, კომიტეტის წევრი ექიმები საპროტესტო აქციების მსვლელობისას რუსთაველის გამზირზე სამედიცინო კარავს გახსნიან და მსურველებს სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ.

"აქციებზე ექიმებს ამოსაცნობად თეთრი ხალათები და სამედიცინო დახმარების ჩანთები ექნებათ," - განაცხადა ბერაძემ და აღნიშნა, რომ უკვე შემუშავებულია გრაფიკი, რომლითაც კომიტეტის წევრი 100 ექიმი 24 საათის განმავლობაში იმორიგეებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# თელავში "მესტროს" ეთერი გაითიშა

გუშინ დილიდან თელავში საკაბელო ტელეკომპანია "მესტროს" და "ალანის" ეთერი გაითიშა. "მესტროსა" და "ალანის" ტრანსლირებას თელავში ადგილობრივი საკაბელო ტელევიზია "გორდა" ახდენს. როგორც რადიო "პერსონ" საკაბელო ტელევიზიის დირექტორმა გივი მამუკელაშვილმა განუცხადა, ტელევიზიების ტრანსლირების შეწყვეტა ტექნიკურმა პრობლემებმა გამოიწვია.

"მესტრო" 9 აპრილის აქციის პირდაპირ ეთერში გადაცემას გეგმავს. გაზეთ "ვერსის" ინფორმაციით, მიტინგის გასაშუქებლად საეთერო დრო ნინო ბურჯანაძეს აქვს ნაყიდი. **მედიანისი**



### ჯანდაცვის საერთაშორისო დღეს საქართველო პრობლემებით ხვდება

7 აპრილს, ჯანდაცვის საერთაშორისო დღეს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) საკონფერენციო დარბაზში "საიას" თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია "მომავალი სიღარიბის გარეშე" ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების შესახებ ბრიფინგს გამართავს.

პრესკონფერენციის მიზანია კოალიციის საქმიანობის, მიღწეული შედეგებისა და გამოვლენილი წინააღმდეგობების შესახებ საზოგადოების ინფორმირება. ბრიფინგის შემდეგ კოალიციის წევრები მონაწილეობენ აგვისტოს მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად დასახლებულ ცენტრებს, სადაც დევნილთა ოჯახებს გადაეცემათ პირველადი სამედიცინო დახმარების პაკეტები და საინფორმაციო ლიფტები პაციენტის უფლებების შესახებ.

ამავე დღეს კოალიცია თბილისის ქუჩებში გამართავს პაციენტის უფლებების შესახებ საინფორმაციო ლიფტების გაერთიანების აქციას. 7 აპრილის ღონისძიების მთავარი მონაწილეა "ჩემი ჯანმრთელობა ჩემი უფლებაა". სამოქალაქო ალიანსი "მომავალი სიღარიბის გარეშე" 2005 წელს შეიქმნა. იგი ოცამდე არასამთავრობო ორგანიზაციასა და ასობით მხარდამჭერს აერთიანებს. კოალიციის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში სიღარიბის აღმოფხვრასა და ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევას. **მედიანიუსი**

### იმპიჩმენტის ოდისეა გრძელდება

"ლეიბორისტულმა პარტიამ" დეპუტატ გია ცაგარეიშვილს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით გადაყენების აღძვრის წარდგინების უფლება მიანიჭა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ცაგარეიშვილმა განაცხადა, "ლეიბორისტებმა" აღნიშნული წარდგინება, რეგლამენტის 246-ე მუხლის თანახმად, პარლამენტს გუშინ გაუზღავენ. ამის შედეგად ცაგარეიშვილი უფლებამოსილი პირი იქნება, მოითხოვოს პრეზიდენტის იმპიჩმენტი და პარლამენტში შეაგროვოს დეპუტატთა ხელმოწერები.

"ლეიბორისტულმა პარტიამ" პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნით წარდგინება პარლამენტში პირველად 2008 წლის 30 დეკემბერს შეიტანა, ხოლო მეორედ -2009 წლის 16 იანვარს.

"ლეიბორისტული პარტიის" წევრები აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესახებ დოკუმენტი პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილმა სეიფში დამალა, ვინაიდან მას არ სურდა წარდგინების განხილვა. თუმცა როგორც გოგორიშვილმა განმარტა, "ლეიბორისტების" წარდგინება რეგლამენტის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა, კერძოდ, წარდგინება დამონებული უნდა ყოფილიყო ან ნოტარიუსის მიერ, ან არანაკლებ 50 დეპუტატის ხელმოწერით.

კერძოდ, რეგლამენტის მიხედვით, პარლამენტში უნდა გამოცხადდეს კონკრეტული ადგილი და დრო, სადაც დეპუტატები ხელს მოაწერენ იმპიჩმენტის შესახებ დოკუმენტს. ასევე, წარდგინება ორ ეგზემპლარად უნდა ყოფილიყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

### დედების აქცია თავდაცვის სამინისტროსთან

თავდაცვის სამინისტროსთან გუშინ მოძრაობის "დედები სამშობლოსთვის" წევრებმა აქცია გამართეს. მათ ქართველ ჯარისკაცებს და პოლიციის თანამშრომლებს მოუწოდებენ, რომ არ დააბრონ თბილისში დაგეგმილი საპროტესტო გამოსვლები.

"კიდევ ერთხელ გვინდა, მოვუწოდოთ სახელოვან შეილებს, ჯარისკაცებს, სარდლებს და პოლიციელებს, რომ დედენ ქართველი ხელის მოკლენიანი. ჩვენ გვაქვს თქვენი იმედი და გვჯერა, რომ ქართველი ხალხის წინააღმდეგ ხელს არ აწევთ," - განაცხადეს მოძრაობის წევრებმა.

გუშინდელ აქციას 100-მდე დედა დაესწრო. ისინი პრეზიდენტის დედას გიული ალასანიას მიმართავენ და რუსთაველის გამზირზე დაგეგმილ აქციამდე ერთი დღით ადრე ანუ 8 აპრილს შეხვედრას სთხოვენ. **მედიანიუსი**

# და გათენდება 9 აპრილი

პირველი გვარდიან

ეს დღე უნდა იყოს სტიმულის მიმცემი სერიოზული აქტივობებისათვის და ხელისუფლებაზე სერიოზული წნეხისთვის. ხელისუფლებაზე ზეწოლის ძალიან ბევრი მექანიზმი არსებობს - საჯარო გამოსვლები, კონკრეტული აქტივობები საჯარო სამსახურებთან მიმართებაში - დღეს არ მინდა ამ დეტალებზე საუბარი. თუმცა ეს ყველაფერი კონსტიტუციის ფარგლებში თავსდება.

რა შეიძლება იყოს ზეწოლის შედეგი - თუ ადამიანი იტყვის, რომ წავდივარ, ეს არ იქნება ცუდი. ამ შემთხვევაში ამოქმედდება ჩვეულებრივი კონსტიტუციური მექანიზმები, პარლამენტის თავმჯდომარე შეასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას, დაინიშნება საპრეზიდენტო არჩევნები, რაც ერთხელ უკვე მოხდა. თუმცა, ამჯერად სააკაშვილი ვეღარ იყრის კენჭს. თუმცა მე არ მაქვს იმედი, რომ მოვლენები ასე განვითარდება. უფრო რეალურია, რომ განხორციელდეს სერიოზული წნეხი გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ამ პერიოდში ოპოზიციამ უნდა მოახერხოს, რომ კარგად წარდგეს მსოფლიოს თვალში და დააფიქსიროს, რომ იგი პასუხისმგებლობის მქონეა.

ოპოზიციის სააკაშვილი წავიდეს და ჩვენ სხვა არაფერი გვინტერესებს - ასეთი მიდგომა არ გვაქვს. თუმცა მიგვაჩნია, რომ სააკაშვილს აღარ გააჩნია ქვეყნის მიძიმე სიტუაციიდან გამოყვანის რესურსი და უნდა გადადგეს. ანუ ეს მოთხოვნა არ იხსნება, თუმცა საზოგადოების მიერ რალაც ბერკეტის მოპოვება, რომ ხელისუფლებაზე, მედიის თავისუფლებაზე და სასამართლოს დამოუკიდებლობაზე მეტი ზეწოლა მოახდინოს, ესეც შედეგია."

პეტრე მამრამძე, "მოძრაობა სამართლიანობისთვის":

"იმედი მაქვს, რომ ის საპროტესტო აქციები, რომლებიც ამ დღეს საქართველოში გაიმართება, არ გადაიზრდება მასობრივ არეულობაში. ვინაიდან მასობრივი აქციები მხოლოდ საზიანოა ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისთვის.

ჩვენ ვართ მოძრაობა სამართლიანობისთვის. ერთი მხრივ, მოვითხოვთ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის წასვლას, თუმცა ისე წასვლას, რომ თან წაიყლოს მანკიერი მართვის სისტემა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს დროშის დროსაც შესაძლებელია

ლია სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურაში ჩაბმა (მართალია, ვერაფერი გამართლებს რუსეთის ქმედებას, თუმცა ფაქტია, რომ საქართველო ჩაება ამ ავანტიურაში). ეს შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ქვეყანაში არ არის დემოკრატიული კონტროლი.

ჩვენ მოვითხოვთ საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე გადასვლას.

ჩვენ არ ვასახელებთ თარიღებს, დღეს არ ვამბობთ ძირს სააკაშვილი, რადგან მხოლოდ უარეს შედეგს მივიღებთ. ბელადოშვილის ბოლო უნდა მოელოს. ჩვენ არ ველოდებით მომენტალურ შედეგს. არც ხელისუფლება ფიქრობს იმაზე, რომ ვინმე გადადგეს იმ ძირითადი ფიგურებიდან, ვინც მართავს ქვეყანას. ფაქტია, რომ ქვეყანას ექვსოდე პიროვნება მართავს და მათში არ შედის არც პარლამენტის თავმჯდომარე, არც პრემიერ-მინისტრი და არც ხელისუფლების მიერ გამასხარავებული დიმიტრი შაშკინი.

9 აპრილს ჩვენ თბილისში პატივს მივაგებთ დაღუპულთა ხსოვნას, ამასთან, უკანონო დაჭერების გამო ბათუმში გაიმართება საპროტესტო აქციები, ორგანიზატორები ჩვენ ვიქნებით და ამით შემოვიფარგლებით.

ჩვენი მოძრაობიდან არ მოდის მოთხოვნა, რომ 9 აპრილს გადადგეს მიშა და იგი სხვამ ჩაანაცვლოს. ეს არ არის სწორი მიდგომა. ჩვენი მიდგომაა, რომ საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში, კონსტიტუციური ცვლილებებით მივალნოთ იმ შედეგს, რომელიც გადაარჩენს ქვეყანას. ვინაიდან ქვეყნის წინაშე ორი დიდი საშიშროება დგას - ახალი საომარი ვითარება და ეკონომიკურ-ფინანსური კოლაფსი."

გიორგი გუშაგაძე,

"ლეიბორისტული პარტია":

"ჩვენ ველოდებით ქვეყნის გათავისუფლებას რეჟიმისგან. თუმცა 9 აპრილი არ არის საკრალური ციფრი. არ გვაქვს მოლოდინი, რომ არიქა, ერთ დღეში ყველაფერი შეიცვლება. ეს იქნება ბრძოლა სამართლიანობისთვის კონსტიტუციურ ფარგლებში. ამ დღეს სხვა დატვირთვაც გააჩნია - ამ დღეს ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ბრძოლის უამრავი კონსტიტუციური ფორმა არსებობს - დემონსტრაცია, მიტინგი, შეურიგებლობა და ასე შემდეგ.

დღეს დავიძინებთ და ხვალ აღარ იქნება სააკაშვილის რეჟიმი, ასეთი მოლოდინი არასწორია. იქნებ, მოვიდნენ კიდევ

გონზე - დღეს ხელისუფლება ოპოზიციას ძალაუფლების მშვიდობიანად გადაბარების მექანიზმებზე უნდა ელაპარაკებოდეს, რასაც არ აკეთებს. ამიტომ ჩვენ მათ გადაწყვეტილების მიღებაში ხელი უნდა შევწყნოთ ხალხის განწყობის დემონსტრირებით. როდესაც შენ ვერ პასუხობ შენი ხალხის სოციალურ დაკვეთას, როცა ვერ პასუხობ მსოფლიო გამოწვევებს შენს რეგიონში, დაიხურე ქული და წაღი."

გიორგი მარბემელაშვილი,

"დემოკრატიული განვითარების ფონდი":

"9 აპრილს კარგ ამინდს ველოდები, 9 აპრილისგან საქართველოში ახალი პოლიტიკური ვითარების ჩამოყალიბებას ველო. ვერ გეტყვით, კონკრეტულად როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, თუმცა ფაქტია, რომ 9 აპრილის შემდეგ საქართველოში პოლიტიკური ამინდი შეიცვლება. დღეს დიდი დაძაბულობაა, თუმცა არ განიხილება, განტვირთვისთვის რა მექანიზმების გამოყენება შეიძლება. როცა ოპოზიციის პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვს, ხელისუფლება კი ამას პრაქტიკულად დემოკრატიაზე კონფერენციის ჩატარების იდეით პასუხობს, ეს ნიშნავს, რომ დილოგი არ მიმდინარეობს. ამიტომ ძნელი სათქმელია, როგორი სცენარები იქნება შემოთავაზებული. თუ ვინმე ფიქრობს, რომ საქართველოში შესაძლებელია დიქტატურა, ეს ძალიან სანაშროველი ვარიანტია, ეს იქნება ყველაზე მყისიერი და მოკლევადიანი რამ, რაც შეიძლება განვითარდეს. სიტუაცია ვერავითარ შემთხვევაში ვეღარ იქნება ისეთი, როგორც დღეს არის, არსებული სტატუს-კვო ვერ შენარჩუნდება. განტვირთვის როგორი მექანიზმები იქნება შემოთავაზებული, თუ ასეთი რამ საერთოდ მოხდება - მხოლოდ პრეზიდენტი წავა და პარლამენტი დარჩება თუ რამე სხვა ვარიანტი იქნება შემოთავაზებული, დღეს ამის შესახებ სალაპარაკო გარემო არ გვაქვს შექმნილი."

ლევან გუშაგაძე,

"ქრისტინა-დემოკრატები":

"მე კონკრეტული მოლოდინი არ მაქვს. უფრო მეტად შემფოთებას განვიცდი. შემფოთების მიზეზია ის, რომ შეიძლება განვითარდეს ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მეტად მიუღებელი სცენარი. მე ვხედავ, რომ დღეს სააკაშვილის ხელისუფლების გადაყენების მშვიდობიანი რესურსი არ არსებობს. ამ ხელი-

სუფლების მონოლითურობა არ არის დარღვეული. თქვენ ალბათ გახსოვთ 2003 წელი, როცა ხელისუფლების მაღალი ემელონებიდან მაღალი თანამდებობის პირები და ბატალიონებიც კი გადადიოდნენ ოპოზიციის მხარეს. დღეს სააკაშვილის ხელისუფლებაში სერიოზული ბზარი არ არსებობს. ამიტომ, არსებობს ძალაუფლების შეცვლის მხოლოდ ძალისმიერი სცენარები, რაც კატეგორიულად უნდა გამოვირიცხოთ, რადგან თუ ამ მიმართულებით განვითარდა სიტუაცია, შეიძლება მივიღოთ იმაზე უარესი, ვიდრე გვაქვს. მინდა ისე წარმართოს ეს პროცესი, რომ ერთ ადამიანსაც არ ჩამოუვარდეს თმის ღერი და სააკაშვილიც არ იქცეს დიქტატორად.

ხელისუფლება ინსტიტუციონალური ცვლილებების გზით უნდა შევასუსტოთ და ამ გზით თანდათანობით მოვახდინოთ მისი მშვიდობიანი ჩანაცვლება - ეს უფრო რეალურ გზად მიმაჩნია."

დავით დარჩიაშვილი,

საპარლამენტო უმრავლესობა:

"რას ველი? - იქნება საპროტესტო აქცია, ხალხმრავალი, მაგრამ ვერ გეტყვით, რამდენად იდგი. იქნება რადიკალური და სხვადასხვა განცხადებები, მიწიმიწი, კონსტიტუციურობის ზღვარზე. მაგრამ თუ არ იქნება ანტიკონსტიტუციური მოქმედებები, ხელისუფლებას მართებს მაქსიმალური თავშეკავება. ჩემი მოლოდინია, რომ ეს დღე მშვიდობიანად, კანონიერ ფარგლებში ჩაივლის. თუმცა პროვოკაციის ბოლომდე გამოვირიცხვა არ შეიძლება. ეს რუსეთისთვის ძალიან დიდი საჩუქარი იქნება და დარწმუნებული ვარ, რუსეთში მუშაობენ, რომ ეს პროვოკაცია შედგეს. იმედია ამის თავიდან აცილება მოხერხდება.

რაც შეეხება ამ დღიდან ახალი პოლიტიკური ერის დასაწყისის შესახებ მოლოდინებს - ასეთი მოლოდინების არსებობა ნიშნავს, რომ ზოგისთვის ჩვენი პოლიტიკური კულტურა ვერ გასცდა სიმბოლოებისა და მაგიის სფეროს. არის საპროტესტო მუხტი, ამას ხელისუფლება დღესაც აცნობიერებს და მზად არის დიალოგისთვის. მაგრამ დიალოგი გულისხმობს, როგორც მიწიმიწი, პოზიციათა ურთიერთგაცვლას. ულტიმატუმის ენაზე საუბარი იმთავითვე გამოვირიცხავს დიალოგს."

## საჯარო მმართველობა როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის (GTZ) პროექტმა "სამართლისა და სასამართლო სისტემის მხარდაჭერა საქართველოში" 2009 წლის 2 და 3 აპრილს თბილისში ჩაატარეს ერთობლივი კონფერენცია თემაზე "საჯარო მმართველობის თანამედროვე ასპექტები". კონფერენციის გახსნაზე, მისასალმებელ სიტყვაში ქალბატონმა თინა ბურჯალაძემ, იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ აღნიშნა: "საჯარო მმართველობის რეფორმა საქართველოში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საჯარო მმართველობა უნდა იყოს მოქნილი, გამჭვირვალე და ეფექტური."

კონფერენციის შედეგად, ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, შემუშავებული იქნა კონკრეტული რეკომენდაციები საჯარო მმართველობის სამომავლო განვითარებისათვის: "კანონმდებლობის შესაბამისი, თანამედროვე და კარგად ფუნქციონირებადი საჯარო მმართველობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს და გააჩნია დიდი დატვირთვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მდგრადობის თვალსაზრისით. საჯარო მმართველობა მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და განიცდიდეს მოდერნიზაციას. ეს მუდმივმოქმედი პროცესია, რომელშიც ყველა მოქალაქე პირი თანაბრად უნდა იყოს ჩართული. ადმინისტრაცია ეფექტურად და მოქალაქეებზე ორიენტირებულად უნდა ჩამოყალიბდეს. გათვალისწინებული უნდა იქნეს ადამიანების, ორგანიზაციისა და ტექნიკის ერთიანი ფუნქციონირება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება."

კონფერენციას სულ 165 მონაწილე ესწრებოდა, მათ შორის დელეგაცია აზერბაიჯანიდან. მონაწილეთა შორის ასევე იყვნენ საქართველოს პარლამენტის წევრები და პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ყველა ინსტანციის მოსამართლეები, საქართველოს სახელმწიფო და კომუნალური დანესებულებების, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოხსენებით გამოვიდნენ სტუმრები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან: გერმანიის ფედერაციული ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე, ქალბატონი მარიონ ეკერტ-პოფერი, გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს პანსიონირებული სახელმწიფო მდივანი, ბატონი იოჰან პალენი, ასევე ქალაქ შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორი, ბატონი ჰერმან შილი.

კონფერენციის განმავლობაში წარმოდგენილი და განხილული იქნა თანამედროვე საჯარო მმართველობის ჩამოყალიბების მრავალი კონცეფცია. კონფერენციის მოხსენებები და დასასრულს მიღებული რეკომენდაციები GTZ-ის პროექტის მიერ მასალების კრებულის სახით იქნება გამოქვეყნებული.



# ქუთაისის ინდუსტრიული ზონის შექმნაზე მემორანდუმი გაფორმდა

ეგვიპტურ კომპანია "ფრემ-სა" და მის ქართულ პარტნიორ "Georgian International Holding"-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის თანახმად, 2009 წელს ქუთაისის ავტოქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიქმნება. "ფრემის" საინვესტიციო პროექტის ფარგლებში სულ 12 მრავალპროფილიანი ქარხანა აშენდება, სადაც საყოფაცხოვრებო ნივთებს, ავეჯს, ტექსტილს, კერამიკულ ნაწარმს და სხვა პროდუქციას დაამზადებენ. პროექტის პირველ ეტაპზე ეგვიპტური კომპანია საქართველოს ეკონომიკაში მილიარდ 200 მლნ. 800 ათასი აშშ დოლარის ინვესტიციას ჩადებს. წელიწადნახევრის შემდეგ კი მეორე ეტაპი დაიწყება, რომელშიც 2 მლრდ. დოლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდება. მემორანდუმის გაფორმებას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო. პრეზიდენტის განცხადებით, ქუთაისი ისევე "ინდუსტრიის მშენებელი" ქალაქი ხდება.



მიხეილ სააკაშვილის ნომერ პირველი საჩუქარი ქუთაისელებისთვის გემზე დატვირთული ქარხანაა, რომელიც საქართველოსკენ მოემართება. "ამ ქარხნის პროდუქციის გამოშვებას თქვენ სამ თვეში შეძლებთ და ეს ყველაფერი აქ, ავტოქარხნის ტერიტორიაზე მოხდება. მეორე ქარხანა ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემების თვითმწოდებელი ქარხანაა. მეორე ქარხანა კი ქუთაისში 12 ქარხანა ჩამოგიტანთ, რაც ნამდვილად მოგცემს იმის თქმის საშუალებას, რომ "ქუთაისის ინდუსტრიის მშენებელი ქალაქია", - აღნიშნა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით "ქუთაისში განსაკუთრებული გაჭირვებაა და ხალხს მთავრობის და ინვესტორების განსაკუთრებული თანადგომა სჭირდება". ამ თანადგომის შედეგების სავარაუდო სურათი უკვე არსებობს: ძთუ ჩვენ ეკონომიკის გადარჩენის პროგრამას მივყვებით, რომელიც ოთხი თვის წინ წარმო-

ვადგინეთ, საქართველო ამ ეკონომიკური კრიზისიდან უფრო ძლიერი გამოვა, ვიდრე აქამდე იყო. ქუთაისში იქმნება თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რომელიც უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში სტაბილური და გრძელვადიანი სამსახურით დაახლოებით 5 000 ადამიანს დაასაქმებს. ამ ზონაში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი სხვა სანარმოებში დამატებით კიდევ 2-3 სამუშაო ადგილს შექმნის. ვფიქრობ, რომ უახლოესი 2 წლის განმავლობაში ქუთაისში 20-25 000 მუდმივ და მალაღანაზღაურებად სამსახურს შეეძენით. ხალხი, რომელთაც უკანასკნელი 16-17 წლის განმავლობაში არ უმუშავია, სტაბილურად მალაღანაზღაურებად სამსახურს იშოვის. გლობალურ საფინანსო კრიზისს მხოლოდ ამ გზით თუ გადავლახავთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი არაბი ინვესტორების თანადგომით ქუთაისი სულ მალე ნახევარმილიონიანი ქალაქი და საქართველოს მეორე და სრულფასოვანი დედაქალაქი გახდება", - აცხადებს სააკაშვილი.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის საწყის ეტაპზე საყოფაცხოვრებო ნივთების ქარხანა აშენდება, რომელიც პირველ პროდუქციას ივანისში გამოუშვებს. ქარხნის სამშენებლო სამუშაოებზე 300 ადამიანი

უკვე დასაქმებულია. მათი საშუალო ხელფასი 300-500 ლარია.

"ფრემს" ეგვიპტეში 9 ქარხანა აქვს და პროდუქციის ექსპორტს მსოფლიოს 52 ქვეყანაში ახორციელებს. კომპანიის წმინდა მოგება ყოველწლიურად მილიარდი დოლარია. "ფრემის" მფლობელი და პრეზიდენტი იბრაჰიმ ხალილი, რომელიც ამავე დროს ეგვიპტის ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარეცაა. ეგვიპტელი ინვესტორი საქართველოში ჩვენმა თანამოქალაქე მიხეილ თიგვიშვილმა ჩამოიყვანა. ის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის პროექტს "ფრემთან" ერთად განახორციელებს. მიხეილ თიგვიშვილი ამერიკაში 15 წლის განმავლობაში ცხოვრობდა. ის წარმატებული ბიზნესმენია და ნიუ-იორკის შტატის ეკონომიკის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის აშშ-ს სენატის სიგელითაა დაჯილდოებული.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე აცხადებს, რომ ფოთსა და ბათუმში მშენებლობის ბუ-

მი. "მშენებლობა ბევრგან გაძნელდა, მაგრამ არა ყველგან. გაიარეთ ფოთში, იქ ნამდვილი სამშენებლო ბუმი. ეს აუცილებლად გადმოედება ქუთაისს, სადაც ამ ეტაპზე მშენებლობა

შეჩერებულია. ბათუმში კი ახლა 2-ჯერ მეტი მშენებლობა მიმდინარეობს, ვიდრე კრიზისის დაწყებამდე", - განაცხადა სააკაშვილმა.

მსოფლიოში ცნობილი სპორტული ბრენდები თავიანთ პროდუქციას საქართველოში გამოუშვებენ. ცნობილი სპორტული ბრენდები "პუმა" და "ლოტოსი" პროდუქციას გამოუშვებენ წარწერით: "გამოშვებულია საქართველოში". კომპანიამ ბათუმში 600 მუშახელი აიყვანა და დამატებით კიდევ 400 სამუშაო ადგილის შექმნას გეგმავს.

"შეეხვები თურქ ინვესტორებს, რომლებმაც ჩამოიტანეს საქართველოში დიდი სანარმო. იგი რომელიც გამოუშვებს საქართველოში "პუმას" და "ლოტოსს" წარწერით: "გამოშვებულია საქართველოში". ექვსასი მუშა აიყვანეს და კიდევ 400-ის აყვანას გეგმავენ. ერთი სამუშაო ადგილი აქ კიდევ ოთხ სამუშაო ადგილს წარმოქმნის სხვა სანარმოებში. ეს არის ჩვენი შანსი, საქართველო გამოძვრეს ამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან არა დასუსტებული, არამედ გაძლიერებული და ფეხზე დამდგარი და ნამდვილად სანიმუშო ევროპისთვის და რეგიონისთვის", - განაცხადა სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, მომავალი წლიდან სასმელი წყლით მთელი ქუთაისი უწყვეტად მომარაგდება. ქუთაისში წყალგაყვანილობის სამუშაო წელს დასრულდება. "ჩვენ მოვახერხებთ ის, რაც ვერ გააკეთეს ვერც კომუნისტებმა და ვერ ვერაფერს. ეს ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ კეთდება. ჯერ ფასადები შევლებთ, მერე გავიწინდა ფული და შევაკეთებ გზები, მერე დახმარება მივიღებთ და წყალი გავიყვანებთ. ქვეყანა ერთბაშად არ შენდება. ბევრი რაღაცა რაც ადვილი მეგონა, წარმუდგენლად ძნელი აღმოჩნდა და ბევრი ისეთი რამ, რაც ძნელი მეგონა, მაგალითად, ქუთაისის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, ადვილი ყოფილა", - დასძინა პრეზიდენტმა. ქუთაისში სტუმრობისას სააკაშვილმა წყალგაყვანილობის სამუშაო პირადად დაათვალიერა.

## მაის-ივნისიდან ბანკებმა, შესაძლოა, ბიზნესის "დაკრედიტება" განაახლონ

მაის-ივნისიდან ბანკებმა, შესაძლოა, ბიზნესის "დაკრედიტება" განაახლონ. ამის შესახებ ქუთაისში სტუმრობისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ საფინანსო ინსტიტუტებთან შესაბამისი მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. "ვმუშაობ ბანკებთან, რომ მაის-ივნისიდან მათ მშენებლობების დაკრედიტება ალაღვიანონ. ბანკებს ამის საკმარისი რესურსი აქვთ, მით უფრო, რომ სავალუტო ფონდმა დამატებითი ტრანში გამოგვიყვას", - განაცხადა სააკაშვილმა.

## საგზაო დეპარტამენტი ქუთაისში გადავა

ქუთაისში კიდევ ერთი სახელმწიფო უწყება გადადის. რამდენიმე დღეში ქუთაისში მუშაობას საგზაო დეპარტამენტი შეუდგება. ამის შესახებ დღეს ქუთაისში სტუმრობისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა. "ქუთაისში უკვე გავხსენი საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისის შენობა. პირობა შევასრულე. აქ გადმოვიდა კონტროლის პალატაც. რამდენიმე დღეში კი ქუთაისში გააგრძელებს მუშაობას საგზაო დეპარტამენტი", - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, ის ქუთაისში კიდევ რამდენიმე სერიოზული ორგანიზაციის გადმოტანას აპირებს, თუმცა ჯერ ამას პარლამენტთან შეთანხმებას. "იქამდე, ეს იყოს ჩემი საიდუმლო", - დასძინა პრეზიდენტმა.

## საგზაო დეპარტამენტი ქუთაისში გადავა

ქუთაისში კიდევ ერთი სახელმწიფო უწყება გადადის. რამდენიმე დღეში ქუთაისში მუშაობას საგზაო დეპარტამენტი შეუდგება. ამის შესახებ დღეს ქუთაისში სტუმრობისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა. "ქუთაისში უკვე გავხსენი საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისის შენობა. პირობა შევასრულე. აქ გადმოვიდა კონტროლის პალატაც. რამდენიმე დღეში კი ქუთაისში გააგრძელებს მუშაობას საგზაო დეპარტამენტი", - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, ის ქუთაისში კიდევ რამდენიმე სერიოზული ორგანიზაციის გადმოტანას აპირებს, თუმცა ჯერ ამას პარლამენტთან შეთანხმებას. "იქამდე, ეს იყოს ჩემი საიდუმლო", - დასძინა პრეზიდენტმა.

## საგზაო დეპარტამენტი ქუთაისში გადავა

ქუთაისში კიდევ ერთი სახელმწიფო უწყება გადადის. რამდენიმე დღეში ქუთაისში მუშაობას საგზაო დეპარტამენტი შეუდგება. ამის შესახებ დღეს ქუთაისში სტუმრობისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა. "ქუთაისში უკვე გავხსენი საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისის შენობა. პირობა შევასრულე. აქ გადმოვიდა კონტროლის პალატაც. რამდენიმე დღეში კი ქუთაისში გააგრძელებს მუშაობას საგზაო დეპარტამენტი", - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, ის ქუთაისში კიდევ რამდენიმე სერიოზული ორგანიზაციის გადმოტანას აპირებს, თუმცა ჯერ ამას პარლამენტთან შეთანხმებას. "იქამდე, ეს იყოს ჩემი საიდუმლო", - დასძინა პრეზიდენტმა.

## რომან პანოვი: მიმდინარე წლის ივლისში გაზი რუსეთის ტერიტორიიდან ცხინვალამდე მივა

რუსეთიდან სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში მიმავალი გაზსადენის მშენებლობა მიმდინარე წლის ზაფხულში, უფრო კონკრეტულად კი ივლისის ბოლოსაკენ დასრულდება. ეს განცხადება დღეს რუსეთის ფედერაციის რეგიონალური განვითარების მინისტრის მოადგილემ რომან პანოვმა გააკეთა. "გაზი რუსეთისკენ არის საქართველოს ტერიტორიის გავლით, მაგრამ ივლისში მილი იქ რუსეთის ტერიტორიიდან მივა", - განაცხადა პანოვმა დღეს ყუნალიტებთან საუბრის განხილვისას ისიც, რომ ამ გაზსადენის მშენებლობა გასულ წელს დაიწყო.

"გაზსადენის მშენებლობა არატიპობრივ პირობებში მიმდინარეობს, მაგრამ ივლისისათვის გაზი უკვე ცხინვალამდე მივა. ხოლო გაზის ცხინვალამდე მისვლა, ფაქტობრივად, მთელი რუსუბლიკის გაზი რუსეთისკენ მიმავალი გაზსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ, აცხადებს პანოვი. მისი ინფორმაციით, ცხინვალში გაზგამანაწილებელი სისტემის მწყობრში მოსაყვანად უკვე დახარჯულია 152 მილიონი რუსული რუბლი.

## ოპეკის წევრების მიერ კვოტების შესრულებამ ნავთობის ფასების სტაბილიზირება მოახდინა

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკი) წევრი-ქვეყნების მიერ ნავთობის წარმოების დადგენილი კვოტების შესრულებამ მოახდინა მსოფლიო ფასების სტაბილიზირება, განაცხადა ალჟირის ენერჯეტიკის მინისტრმა შაჰიბ ხელილმა.

მისი აზრით, მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილების დაცემის გამო ნავთობის ფასის შესამჩნევი ზრდა უახლოეს პერსპექტივაში არ ივარაუდება. მინისტრის აზრით, კვოტების სისტემის მხარდაჭერა შეძლებს ბარელი ნავთობის ლირებულების გაზრდას 50-55 დოლარამდე. დღეისათვის ოპეკის მონაწილეების მიერ ნავთობის მოპოვების დადგენილი კვოტების შესრულება შეიძლება დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ.

გასული წლის მეორე ნახევარში ნავთობის ფასის მკვეთრი დაცემის შემდეგ მიმდინარე წელს მოხდა ფასების სტაბილიზირება 40-50 დოლარის ფარგლებში ბარელზე. გარდა ამისა რიგი ნავთობმომპოვებელი ქვეყნების ოფიციალური პირები ბოლო დროს აცხადებდნენ, რომ სფეროში ინვესტიციების ზრდისათვის აუცილებელია ნავთობის ფასი არანაკლებ 75 დოლარის ბარელზე. "თუმცა ჩვენ ვერ შევძლებთ მსოფლიო ფინანსური კრიზისის იგნორირებას, რომელიც ნეგატიურად აისახა ნავთობზე მოთხოვნილებაზე როგორც აშშ-ში, ასევე ჩინეთში და ევროპაში", - აღნიშნა ხელილმა.

# მოგავალი წლიდან თბილისი-ბათუმის რკინიგზის მშენებლობა დაიწყება

მომავალი წლიდან თბილისი-ბათუმის რკინიგზის მშენებლობა დაიწყება. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ქუთაისის ავტოქარხანაში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

საკაშვილის თქმით, პროექტი მილიარდ ლარზე მეტი ჩაიდება და ჩქაროსნული სარკი-

ნიგზო მაგისტრალი შეიქმნება. პრეზიდენტის თქმით, 2011 წლისთვის ავტობანის საშუალებით ქუთაისში ჩასვლა საათ-ნახევარში იქნება შესაძლებელი. "ჩვენ ვინყებთ მილიარდიანი პროექტის განხორციელებას მომავალი წლიდან, იმისათვის, რომ თბილისი-ბათუმის რკინიგზა, რომელიც ფოთ-

ზე გაივლის, პრაქტიკულად, სხვანაირ რაკურსში დაგინახოთ. თბილისიდან ქუთაისში ამ ახალი რკინიგზით ჩვენ ჩამოვალთ მაქსიმუმ საათსა და ოც წუთში. ჩვენ ავტობანი მოგვყავს აქ 2011 წელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ასევე საათ-ნახევარში ჩამოხვალ უსაფრთხოდ გზით ქუთაისში. ვინყებთ დიდი

პიდროლექტროსადგურების მშენებლობას გარშემო. ეს არ არის მარტო დაპირება. პირველად, საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველოში აშენდება დიდი და მძლავრი ჰესები. ეს არის ათობით და ათასობით ახალი სამუშაო ადგილი", - განაცხადა სააკაშვილმა.

# გურჯაანში კონსტრუქციის ქარხანა მალე ხილის წვენებს გამოუშვებს

გურჯაანში შპს "რთველი 2008"-ის გადამამუშავებელი ქარხანა, მიმდინარე კვირის ბოლოს ხილის წვენებს გამოუშვებს, რომელიც ყურძნისა და ფორთოხლის არომატით იქნება - ამის შესახებ რადიო "სერეთს" დღეს გურჯაანში მყოფმა პრე-

მიერ მინისტრმა, ნიკა გილაურმა განუცხადა. "ხელისუფლება მცირე მენარმეებს ეხმარება, რათა ადგილობრივმა პროდუქციამ უცხოურს, ბაზარზე კონკურენცია გაუწიოს" - განაცხადა გილაურმა.

პრემიერ-მინისტრთან ერთად გურჯაანში ჩავიდა სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვუციანი და კახეთის გუბერნატორი. გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, სამომავლოდ სანარმოში ყურძნის ჩაბარე-

ბაც მოხდება, რომელიც კონცენტრატებად გადამამუშავდება და რეგიონში ყურძნის რეაბილიტაციის პრობლემას ნაწილობრივ მოაგვარებს. შპს "რთველი 2008"-ის სანარმოში ამჟამად 45 გურჯაანელი დასაქმებულია.



### უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, პატიმარი გაათავისუფლეს

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, პატიმარი მარიამ კირიჩენკო დარბაზიდან გათავისუფლდა. მსჯავრდებულს, რომელსაც ქურდობის ორ ეპიზოდში ედებოდა ბრალი, ჯერ რაიონულმა, ხოლო შემდეგ სააპელაციო სასამართლომ 4 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მსჯავრდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებდა, ინანიებდა და უზენაეს სასამართლოს დანიშნული სასჯელის პირობითი მსჯავრით შეცვლას სთხოვდა.

უზენაესმა სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მსჯავრდებულის საჩივარი დააკმაყოფილა. "განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულის სასარგებლოდ, მარიამ კირიჩენკო დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან," - ასეთი იყო ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს საბოლოო ვერდიქტი. **საკუთარი ინფორმაცია**

### დაჩი ცაგურია საპატრულო პოლიციას სასამართლოში უჩივის

9 აპრილის საორგანიზაციო ახალგაზრდული შტაბის წევრი დაჩი ცაგურია სასამართლოში ჩივილს აპირებს. "ჩემი მანქანა გუშინ საჯარიმოზე გადაიყვანეს, დღეს კი, როცა მის გამოსაყვანად მივედი, მანქანა საშინელ მდგომარეობაში დამხვდა. განადგურებულია სალონი, მოპარულია პირადი ნივთები," - განუცხადა "პირველს" ცაგურია, რომელიც მთელ პასუხისმგებლობას საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს აკისრებს და სასამართლოში ჩივილს გეგმავს. **პირველი**

### ინციდენტი გურჯაანში

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში მცხოვრები გაბრუაშვილების ორსართულიანი სახლი მთლიანად დაინვა. წინასწარი ინფორმაციით, ხანძარი ელექტროსადენებიდან გაჩნდა. ხანძრის შემდეგ, ოჯახის უფროსი, 78 წლის ბიჭო გაბრუაშვილი გულის ინფარქტით გარდაიცვალა. გარდაცვლილის ახლობლების განცხადებით, გურჯაანის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური ხანძრის გაჩენისთანავე გამოიძახეს, თუმცა სახანძრო დახმარების მანქანები ადგილზე 45 წუთის დაგვიანებით მივიდნენ. დაგვიანების ფაქტს გურჯაანის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში კატეგორიულად უარყოფენ.

ხანძრის შედეგად გარდაცვლილის ინვალიდი მეუღლე და მისი შვილი თავშესაფრის გარეშე დარჩნენ. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობას მათთვის დახმარება ამ დრომდე არ გაუწევია. გარდაცვლილის ცხედარი ახლობლების სახლშია დასვენებული. **მედიანიუსი**

### პარლამენტის ბიურომ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს ომბუდსმენის ანგარიშის განხილვა დაავალა

სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვა პარლამენტის ბიურომ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს დაავალა. პარლამენტში უკვე შესულია სახალხო დამცველის ანგარიში, რომელიც 2008 წლის მეორე ნახევარს შეეხება. პარლამენტის თავმჯდომარის დავით ზაქარაძის თქმით, სახალხო დამცველის ანგარიში 1000-გვერდიანია. განხილვის პარალელურად, სახალხო დამცველის ანგარიში პარლამენტის ვებ-საიტზე განთავსდება. შესაბამისი დავალება ზაქარაძემ დღეს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტს მისცა. **პირველი**

### სემინარი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებისთვის

საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებისთვის "საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის" თემაზე სემინარი ტარდება. კურსში შეიარაღებული ძალების შტაბებისა და სამხედრო ნაწილების 15 იურისტი მონაწილეობს. სემინარების ინიციატორი "წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციაა". სწავლება წითელ ჯვარსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ტარდება.

ხუთდღიანი კურსის დასრულების შემდეგ, მსმენელები სპეციალურ სერთიფიკატებს მიიღებენ. სემინარები "საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში" წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით 2000 წლიდან ხორციელდება. **მედიანიუსი**

### მემორანდუმი გაფორმდა

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის მემორანდუმი გაფორმდა. შეთანხმების საფუძველზე, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო სამედიცინო ექსპერტიზის დარგისთვის ახალი კადრების მომზადების მიზნით ყოველწლიურად 3 კურსდამთავრებულის დიპლომის შემდგომ პროფესიულ განათლებას დააფინანსებს.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ასევე მემორანდუმი, რომელიც სამედიცინო ექსპერტიზასთან დაკავშირებული კლინიკურ, ლაბორატორიულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საკითხებში ურთიერთთანამშრომლობას ითვალისწინებს. მემორანდუმში ხელი საქართველოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსმა გიორგი ცხაკაიამ და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა დავით ჭავჭავაძემ მოაწერეს.

მემორანდუმის ხელმოწერას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გორგობანი დაესწრო. **საკუთარი ინფორმაცია**

# სააღდგომოდ პატიმართა შეწყალვა იგეგმება

სააღდგომოდ პატიმართა მორიგი შეწყალვა იგეგმება. გავრცელებული ინფორმაციით, შესაწყალბელ პატიმართა სია უკვე შედგენილია.

წინასწარი ინფორმაციით, შეწყალბულ პატიმართა სიაში დაახლოებით 500 ადამიანი მოხვდება, მათ შორის 18 არასრულწლოვანია. შესაწყალბელ პატი-

მართა სიაში არიან ასევე ქალბი. სააღდგომოდ დაგეგმილ შეწყალბებულთა სიაში კვლავ ვერ მოხვდება "ტელეკომპანია 202"-ის დამფუძნებელი ლევან რამიშვილი. ტელეკომპანიის დამფუძნებელი უარს ამბობს შეწყალბაზე და ვადამდელ გათავისუფლებას ითხოვს. რამიშვილის განმარტებით, მისთვის შეწყალბა დანაშაულის აღიარების ტოლფასია, მაშინ როცა მსჯავრდე-

ბული თავს დამნაშავედ არ თვლის და, შესაბამისად, დანაშაულს არ აღიარებს. ამ მიზეზით რამიშვილმა შეწყალბაზე უარი უკვე რამდენჯერმე თქვა. "202"-ის დამფუძნებელს სასჯელის ვადა აგვისტოში ენურება. შეწყალბების კომისიის სხდომის ჩატარებისა და შესაწყალბელი პატიმრების სიის შემუშავების შემდეგ, კომისია საქართ-

ველოს პრეზიდენტს აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით შესაწყალბელ პატიმართა რეკომენდაციებს გაუგზავნის. შესაწყალბელ პატიმართა შესახებ რეკომენდაციები საქართველოს პრეზიდენტთან შეწყალბების კომისიიდან, საპატრიარქოდან და პროკურატურიდან იგზავნება. საბოლოო გადაწყვეტილებას თავად პრეზიდენტი იღებს. **საკუთარი ინფორმაცია**

# სიხლუ საჯარო რეესტრში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აგრძელებს მომსახურების დახვეწას და მოქალაქეებს სთავაზობს ინტერნეტის მეშვეობით ყადაღის და საგადასახადო გირავნობის შესახებ ინფორმაციის მიღებას უკვე 16 ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურიდან. ეს სამსახურებია: თბილისი, ზუგდიდი, გარდაბანი, თელავი, მცხეთა, რუსთავის, გორი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, კას-

პი, ოზურგეთი, ხელვაჩაური, ახალციხე, ბორჯომი, სენაკი. აღნიშნული პროგრამა მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს სახლიდან თუ ოფისიდან გაუსვლელად, სააგენტოს ვებგვერდზე [www.reestri.gov.ge](http://www.reestri.gov.ge) გაეცნონ საჯარო რეესტრის მონაცემებით თუ ვის ქონებას ადევს ყადაღა და საგადასახადო გირავნობა. ასევე გაეცნონ ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულ ყადაღასა და საგადა-

სახადო გირავნობასთან დაკავშირებულ განცხადებებს, კერძოდ: განცხადების შინაარსს, განცხადების განხილვის ეტაპს, განცხადებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ახალი სერვისი მნიშვნელოვნად უმარტივებს მუშაობას კერძო კომპანიებს, რომლებსაც ხშირად ესაჭიროებათ სხვადასხვა უწყებებში ყადაღის შესახებ ცნობების წარდგენა (მაგალი-

თად, ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად). მათ შეუძლიათ ოფისიდან გაუსვლელად, ელექტრონულად შეავსონ განცხადების ფორმა, გადაიხადონ მომსახურების საფასური პლასტიკური ბარათის მეშვეობით და ასევე ელექტრონულად მიიღონ საჯარო რეესტრში მომზადებული ცნობა ყადაღის შესახებ და ინფორმაცია საგადასახადო გირავნობის შესახებ. **საკუთარი ინფორმაცია**

# იურიდიული დახმარების სამსახური 4 ათასზე მეტ მოქალაქეს მოემსახურა

2009 წლის პირველ სამ თვეში იურიდიული დახმარების სამსახური ოთხი ათასზე მეტ მოქალაქეს მოემსახურა. თბილისის, კახეთის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, იმერეთის-ზეესტაფონის, იმერეთის-ქუთაისის, სამეგრელოს-ზუგდიდის, სამეგრელოს-ფოთისა და აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროებმა წარმოებში 1800-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე მიიღეს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშნვის მომართვების 44 პროცენტი -სახამართლოზე, 42 პროცენტი გამოძიებაზე, 1 პროცენტი - პროკურატურაზე, ხოლო 13 პროცენტი - მოქალაქეებზე მოდის. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის მომსახურებით 92 არასრულწლოვანმა ისარგებლა.

იურიდიული დახმარების ბიუროებს, აგრეთვე ოზურგეთისა და ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრებს სამართლებრივი კონსულტაციებისათვის 1600-ზე მეტმა მოქალაქემ მი-

მართა. მოქალაქეთა 8 პროცენტმა სატელეფონო, ხოლო 92 პროცენტმა პირადი კონსულტაციით ისარგებლა. გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებმა 500-ზე მეტი სამართლებრივი დოკუმენტი, მათ შორის განცხადებები და შუამდგომლობები შეადგინეს.

იურიდიული დახმარების სამსახური მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციებს უწევს. უფასო იურიდიული კონსულტაციით სარგებლობა

საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს შეუძლია; უფასო საადვოკატო მომსახურებით სარგებლობის უფლება კი - აქვს ყველა დაკავებულს, ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და მსჯავრდებულს, რომელიც ამავდროულად სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრია და მისი სარეიტინგო ქულა 70 ათასს ან ნაკლებს, აგრეთვე გარკვეული კატეგორიების პირთათვის 100 ათასს ან ნაკლებს შეადგენს. **საკუთარი ინფორმაცია**

# რეკომენდაცია იუსტიციის მინისტრს

სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილს ყველა იმ პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება მოსთხოვა, ვისი ბრალეულობითაც "ლეიბორისტული პარტიის" წევრ არჩილ ბენიძის მიმართ დევნა განხორციელდა.

შვიდთვიანი პატიმრობის შემდეგ, "ლეიბორისტული პარტიის" წევრი არჩილ ბენიძე, რომელიც ფულის გათვრებაშია ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, არჩილ ბენიძეს წინასწარი აღკვეთი ღონისძიება 2000 ლარის ოდენობის გირაოთი შეეცვალა.

"ლეიბორისტული პარტიის" გლდანის რაიონის კოორდინატორი არჩილ ბენიძე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2008 წლის 25 ივლისს დააკავეს. სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებულ არჩილ ბენიძეს სასამართლომ ბრალდება არ ამოუხსნა, შესაბამისად სა-

სამართლო პროცესები გავრცელდება. ომბუდსმენმა შეისწავლა არჩილ ბენიძის საქმე და მიიჩნია, რომ მას ბრალი არამართებულად წაუყენეს და თითქმის 9 თვე ბენიძე უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა.

არჩილ ბენიძეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზების მუხლით წაუყენეს ბრალი. გამოძიება მას 15 000 აშშ დოლარს ედავებოდა, რომელიც მან საბანკო გადარიცხვით მიიღო, გამოძიების განმარტებით, დაკავებულმა დამალა ამ ქონების წარმოშობის წყარო, განთავსება, მოძრაობა და საკუთრება.

სახალხო დამცველის განმარტებით კი, არჩილ ბენიძის ქმედება არ წარმოადგენს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას.

"ბენიძესა და სხვა პირებზე ფულის გადაცემა მოხდა საბანკო გადარიცხვის გზით, რაც ნიშნავს, რომ უცხოეთიდან საქართველოში ფულადი მიმოქცევა კონტროლირებადი იყო და ამ ქმედებით საქართველოს ეკონომიკას და ფულად

საკრედიტო სისტემას არანაირი ზიანი არ მიდგომა," - განაცხადა სახალხო დამცველმა. ომბუდსმენის აპარატში განმარტავენ, რომ არჩილ ბენიძეს, როგორც ფიზიკურ პირს, სრულად უფლება ჰქონდა საბანკო გადარიცხვით მიეღო თანხა საჩუქრად, სესხად ან სხვა მიზნით და ეს ქმედება არ წარმოადგენდა დანაშაულს.

"მნიშვნელოვანია, რომ ბრალდების თანახმად, დანაშაული ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ჯგუფის ორგანიზატორად სავარაუდოდ, მოიაზრება შალვა ნათელაშვილი. სავარაუდოდ, რადგან მასზე არც სისხლის სამართლებრივი დევნა დასწყობულა და მოწმედაც არ დაკითხულა. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ დააკმაყოფილა არჩილ ბენიძის ადვოკატების შუამდგომლობა შალვა ნათელაშვილის მოწმის სახით პროცესზე დაკითხვის თაობაზე," - განმარტავს სახალხო დამცველი.

სახალხო დამცველის განცხადებით, სადავოა ის ფაქტიც,

რომ თანხა პარტიამ დაუსაბუთებლად მიიღო. "მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ" კანონის თანახმად, პარტიის ქონებას ქმნის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოწირულობები და ეს თანხა შალვა ნათელაშვილს, როგორც პარტიის ლიდერს, შემოწირულობის სახით შეეძლო მიეღო ყველა პირისგან და ეს ქმედება არ ჩათვლება უკანონო შემოსავლების ლეგალიზებად," - განმარტავს სახალხო დამცველი.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქმის წარმართვისას შესაბამისმა სამსახურებმა არჩილ ბენიძის ქმედების არასწორი კვალიფიკაცია მოახდინეს. სახალხო დამცველი იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილს რეკომენდაციით მიმართავს და ყველა იმ პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება მოსთხოვა, ვისი ბრალეულობითაც "ლეიბორისტული პარტიის" წევრ არჩილ ბენიძის მიმართ დევნა განხორციელდა. **საკუთარი ინფორმაცია**



# გვირაბის ბოლოს სინათლის დაპირება

## პრემიერ პუტინის პირველი ანგარიში დემაში

ხათუნა ბაბიანი

საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ რუსეთის პრემიერის პირველი საანგარიშო მოხსენება; რუსეთის ხელისუფლების თავის ტიკვილი - ეკონომიკური კრიზისი და რთული გამოსავალი; დაგეგმილი და არამწვავე კითხვები და დაგეგმილი პასუხები.

ვლადიმერ პუტინი პრემიერ-მინისტრის რანგში სახელმწიფო დემის წინაშე ანგარიშით გუშინ პირველად წარდგა. პრემიერის გამოსვლა საათსა და 5 წუთს გაგრძელდა, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში 48-გვერდიანი დოკუმენტისგან შედგებოდა.

საკანონმდებლო ორგანოს სხდომას არა მარტო დეპუტატები, არამედ 25 ვიცე-პრემიერი და მინისტრებიც ესწრებოდნენ, გარდა იმ პირებისა, ვინც მივლინებასა თუ შევბულებაში იმყოფებოდა. თანაც თუ დეპუტატების უმრავლესობა სხდომაზე დასწრებით, ტრადიციულად თავს არ იწუხებს, ამჯერად დარბაზი თითქმის სავსე იყო. პრემიერის ანგარიშის მოსასმენად სამუშაო ადგილზე მხოლოდ 13 დეპუტატი არ გამოცხადდა. სახელმწიფო საათობიროს თითოეულ ფრაქციას სამ-სამი კითხვა წერილობითი ფორმით ჰქონდა მომზადებული, მაგრამ ცხადია, დეპუტატებმა მწვავე შეკითხვებს თავი აარიდეს.

ოფიციალურად პრემიერის გამოსვლა კაბინეტის ფუნქციონირებას ეხებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური მხარე იყო, რადგან პუტინმა, ძირითადად, ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლის გეგმებზე ისაუბრა, მხოლოდ თანამოქალაქეები დასაწყისში გააფრთხილა, რომ 2009 წელი ქვეყნისთვის არცთუ ისე იოლი იქნება.

"ანტიკრიზისული ღონისძიებების მთავარი შედეგი ის არის, რომ თავი ავარიდეთ მოვლენათა განვითარების უარეს სცენარს. კრიზისის დარტყმები შერბილებულია, ეკონომიკამ დაამტკიცა გადარჩენის არა მარტო უნარიანობა, არამედ ახალ, ბევრად უფრო სასურველ პირობებში განვითარების შესაძლებლობა," - აღნიშნა პრემიერმა. მისი თქმით, აუცილებელია, არა მარტო საკვანძო წარმოების შენარჩუნება, არამედ ეკონომიკის ინოვაციური განვითარების გზაზე გადაყვანა.

"რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა მსოფლიო ტენდენციებისგან პრინციპულად არ განსხვავდება. ხშირად ისმის ხოლმე კითხვები, შეიძლება თუ არა რუსეთის თავის აერიდებინა კრიზისის უარყოფითი შედეგებისთვის? რა თქმა უნდა - არა, რა საჭიროა ილუზიებით თავის მოტყუება - ეს შეუძლებელია. თანაც, 2008 წლის მეოთხე კვარტალში ტემპების შემცირების მიუხედავად, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 5.6 პროცენტით გაიზარდა," - განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

2009 წელს რუსეთის ფედერალურ ბიუჯეტში შემოსავლები, წინასწარ დაგეგმილთან შედარებით, 4 ტრილიონ 213.5 მლრდ რუბლით შემცირდება. ბოლო პერიოდის სტატისტიკით, პირველად ქვეყანა მიიღებს არა პროფიციტულ, არამედ დეფიციტურ ბიუჯეტს, რადგან შემოსავლებს ხარჯები 2 ტრილიონ 978.4 მლრდ რუბლით აღემატება. პრემიერის თქმით, 2011 წლისთვის საჭიროა დეფიციტის შემცირება 3 პროცენტამდე, ხოლო ინფლაციის ამჟამინდელი 13-პროცენტის მარჯვენა - 8 პროცენტამდე.



"ასეთი მასშტაბური დეფიციტი, როგორც ეკონომიკისთვის ძლიერმოქმედი წამალი, დასაშვებია, მაგრამ მისი ბოროტად გამოყენება არ ღირს," - განაცხადა პუტინმა.

ანტიკრიზისული პროგრამის არსი, რომელიც მთავრობამ ეკონომიკის გამოცოცხლებისთვის შეიმუშავა, პრემიერმა "ანტიკრიზისული ღონისძიებებისა და გრძელვადიანი პროექტების ოპტიმალურ შერწყმად" დაახასიათა. მისი აზრით, კრიზისის დროს საჭიროა "არა მარტო თავდაცვა, არამედ თავდასხმაც."

დეფიციტის მიუხედავად, რუსეთის მთავრობა ინოვაციური და სოციალური პროექტების დაფინანსებისგან თავის შეკავებას არ აპირებს. სოციალური საჭიროებებისთვის დამატებით გამოყოფილია 600 მლრდ რუბლი. პრემიერმა ბანკირების დასაცავადც გამოიძო თავი. მისი თქმით, საბანკო სისტემა პრობლემური საკრედიტო ინსტიტუტებისგან უნდა გაიზინდოს.

მისი თქმით, საცხებით რეალური იყო საბანკო სისტემის ნგრევის საფრთხე, მაგრამ ამჟამად იგი უკვე ისეთი მწვავე აღარ არის.

"ძალიან გთხოვთ, ძვირფასო კოლეგებო, ბიუჯეტის განხილვისას ბანკირებზე თავდასხმით თავს ნუ შეინუხებთ. მათ შეიძლება ყველაფერი უნოდო, "გაქსუებული კატებიც" კი, მაგრამ ნუ დაგავინყლებათ, რომ ეს რუსეთის ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორია," - აღნიშნა "ლმობიერმა" პრემიერმა.

საბანკო სექტორის მხარდასაჭერად ხელისუფლება 255 მლრდ რუბლის გამოყოფას აპირებს.

პუტინი შიდა პოლიტიკისა და ეკონომიკური თემების გარდა, საგარეო-პოლიტიკურ საკითხებსაც შეეხო და განაცხადა, რომ არ ფლობს ინფორმაციას ირანის წინააღმდეგ ძალის გამოყენების გეგმებზე. რუსეთის პრემიერის აზრით, ნებისმიერი საერთაშორისო პრობლემის ძალიანსივრით გადაჭრა კონტრპროდუქტიულია.

"ბოლო დროს ძალის გამოყენებას დამახინჯებული ფორმები ჰქონდა. იმის ნაცვლად, რომ ანარმონ ნაკლებად სასიამოვნო, მაგრამ ხანგრძლივი მოლაპარაკებები, ხშირად პრობლემების გადაჭრა უხეში ძალის გამოყენებით ხდება. ეს კი შედეგს არ იძლევა," - განაცხადა პრემიერმა საგარეო-პოლიტიკური საკითხების შესახებ დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებზე.

"მსოფლიო მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან რუსეთის გამორიცხვა და მისი კანონიერი ინტერესების უგულვებლყოფა, მით უფრო ენერგეტიკის სფეროში, კონტრპროდუქტიულია," - განაცხადა პუტინმა ენერგეტიკის პრობლემებზე საუბრისას.

მან ასევე აუწყა დეპუტატებს, რომ რუსეთი არ აპირებს ნახშირწყალბადის ტრანსპორტირების ისეთ ახალ პროექტებზე უარის თქმას, როგორცაა "ჩრდილოეთის ნაკადი" და "სამხრეთის ნაკადი", კასპიისპირა გაზსადენი და "ბურ-გას-ალექსანდრუპოლისის" ნავთობსადენი.

მან ასევე აუწყა დეპუტატებს, რომ რუსეთი არ აპირებს ნახშირწყალბადის ტრანსპორტირების ისეთ ახალ პროექტებზე უარის თქმას, როგორცაა "ჩრდილოეთის ნაკადი" და "სამხრეთის ნაკადი", კასპიისპირა გაზსადენი და "ბურ-გას-ალექსანდრუპოლისის" ნავთობსადენი.

"რასაკვირველია, ყველა არ არის დაინტერესებული, რომ ეს პროექტები რეალურად იქცეს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ისინი ეკონომიკურად გამართლებულია და ხელს უწყობს მსოფლიო ენერგეტიკული უსაფრთხოების გამყარებას. ჩვენ მომა-

ვალშიც გავაგრძელებთ პროექტების განხორციელებას," - განაცხადა პუტინმა.

გარდა ამისა, პრემიერმა სხვა მეტნაკლებად მნიშვნელოვან მიღწევებსა თუ პოტენციურ წარმატებებზეც ისაუბრა. "ჩვენ "წინსვლა" გვაქვს ინტერნეტის გავრცელებაში; გვაქვს შობადობის რეკორდი; მივალნივთ მინერალურ-ნედლეულის ბაზაზე სრულ კვლავწარმოებას; ჩვენ გვაქვს ახალი, 2.3 ათასი კილომეტრი საავტომობილო გზა; წარმატება გვაქვს არმიის დაფინანსების სისტემაში - ყოველი ახალწვეული მიიღებს 50 ათას რუბლს; კრიზისის დროსაც პენსიები მნიშვნელოვნად გაიზარდა; დაქირავებული მუშახელის უფლებების დაცვა საჭიროა, მაგრამ მეტისმეტად "კეთილი" დამოკიდებულებაც სახიფათოა; რეგიონული ბიუჯეტები ცენტრისგან 1.2 ტრილიონ რუბლს მიიღებენ; "კრიზისულ" ბიუჯეტში 125 მლრდ რუბლის რეზერვა," - ასეთი იყო პრემიერის საანგარიშო გამოსვლის ძირითადი გზავნილები და მოწოდებები.

პუტინის გამოსვლის შემდეგ ტრიბუნაზე რიგრიგობით ავიდნენ ფრაქციების ხელმძღვანელები, რომელთაგან "რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის" ფრაქციის მეთაურმა გენადი ზიუგანოვმა მთავრობის ზოგიერთი ნევერის მუშაობით უკმაყოფილება გამოთქვა და ფინანსთა მინისტრ ალექსეი კუდრინის გადაყენების ინიციატივა წარმოადგინა.

"თქვენ ახლა იშვიათი კურსის შეცვლისა და გუნდის განახლების შესაძლებლობა გაქვთ. თქვენი გუნდის საკვანძო ფიგურებს არ ძალუძთ ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორცაა სოფლის, მეცნიერებისა და არმიის მხარდაჭერა, რის აუცილებლობასაც მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობები გვკარნახობს. გამოიყენეთ თქვენი ავტორიტეტი და ძალაუფლება," - მიმართა პუტინს ზიუგანოვმა.

ანგარიშის შეჯამებისას კი ვლადიმერ პუტინმა კაბინეტის მისამართით გამოთქმული კრიტიკა ნაწილობრივ გაიზიარა და დეპუტატებს "გვირაბის ბოლოს სინათლეს" დაჰპირდა.

"მსურს, მადლობა გადაუხადო მათ, ვინც მხარი დაუჭირა ანტიკრიზისულ გეგმას და მათაც, ვინც კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა. რა თქმა უნდა, შეიძლება ყველას დათხოვნა - მთავრობისაც, დუმისაც. ნათქვამია: მეფემ მოიხსნა პასუხისმგებლობა, საბჭოთა ხელისუფლებამ მოიხსნა პასუხისმგებლობა და ქვეყანა ორჯერ დაგვექცა. კრიზისული სიტუაციები რეგულარულად არსებობს, მაგრამ ეს სამუდამოდ ასე არ იქნება. საგარეო ბაზარზე დამოკიდებულებას ვერ გავექცევით შიდა ბაზრის ხარჯზე. ეს ხალხისთვის უსიამოვნოა, მაგრამ მათ ყველაფერი შესანიშნავად ესმით. მთავარია, გვირაბის ბოლოს სინათლე ჩანდეს და ვფიქრობ, რომ ჩვენ პროგრამას ზუსტად აქეთკენ მივყავართ. არც თქვენ და არც ჩვენ, აღმასრულებელ შტოს, არ გვაქვს უფლება, ასეთ რთულ პერიოდში თავიდან ავირიდოთ პასუხისმგებლობა. ყველამ უნდა გაიაროს თავისი გზა," - დაასკვნა რუსეთის პრემიერმა.

საკანონმდებლო ორგანოს წინაშე პრემიერის ანგარიშით გამოსვლა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციამ მიმდინარე წლის 21 იანვარს შეტანილი ცვლილებებით დაწესდა. ქვეყნის უმთავრეს კანონში აღნიშნული შესწორების შეტანის ინიციატივა დამტკიცდა მედვედევის ეკუთვნის.

AFP / 2009



# მინისძვრა იტალიაში

პირველი გახილვები

იტალიური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, საშუალო სკოლის ნანგრევებში შეიქმნილი ბავშვები მოყოლილი. თვითმხილველები ჰყვებიან, რომ ნანგრევების გადაადგილება ხელით უხდებათ, რადგან ქუჩები ჩახერგილია და ტექნიკა მიახლოებას ვერ ახერხებს. სამშენებლო სამუშაოებში ქვეყნის არმიაც მონაწილეობს.

ნანგრევებში ჯერ კიდევ უამრავი ადამიანი მოყოლილი. აკვილას ასობით მცხოვრები კი ამ დრომდე უგზოუკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა.

ხელისუფლება შიშობს, რომ მსხვერპლის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. მინისძვრის შედეგად დაზარალებულთათვის საგანგებო ლოცვას რომის პაპი ალაელენს.

იტალიის სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის მონაცემებით, სტიქიის შედეგად დაზარალებული რაიონების ასი ათასზე მეტ მცხოვრებს სახლების დატოვება მოუხდათ, მათგან 50 ათასი თავშესაფრის გარეშე დარჩა.

მინისძვრა ბიძგების ტალღა იტალიის ოლქ აბრუციში ორშაბათს, დღის პირველ ნახევარში დაფიქსირდა. შედეგად წინა მინისძვრის დროს სერიოზულად დაზარალებული სახლების უმეტესობა ჩამოინგრა. ქალაქ აკვილას საავადმყოფოში ოთხი ბავშვი გარდაიცვალა, რომლებიც იქ სახლის დანგრევის შემდეგ მიიყვანეს.

დაღუპულთა შორის უცხოელებიც არიან. გავრცელდა ინფორმაცია მაკედონიის ორი მოქალაქის გარდაცვალების შესახებ.

იტალიის სამოქალაქო თავდაცვის სამსახურში მობილიზაცია გამოცხადებული. მიმდინარეობს სამუშაოები ნანგრევების ქვეშ მოყოლილი ადამიანების გამოსაყვანად. ქალაქში მედიკოსთა ინიციატივით სავლეთ ჰოსპიტალიც შეიქმნა. სტიქიური უბედურების ზონაში უკვე ჩავიდა სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის უფროსი გვიდო ბერტოლაზო.



AFP - 2009

დაზარალებულ რეგიონში იმყოფება იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სილვიო ბერლუსკონი. ტრაგიკული მოვლენის გამო მან რუსეთში ვიზიტი გადადო. ორშაბათს ბერლუსკონის ლიდერობა უნდა გაენიშა მენარმეტა უმსხვილესი ჯგუფისთვის, რომელიც მოსკოვში ჩასვლას გეგმავდა. სამშაბათისთვის დაგეგმილი იყო მისი შესხვედრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევსა და პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინთან.

**"უყურადღებოდ არავინ დარჩება,"** - აცხადებს ბერლუსკონი, რომელმაც პირობა დადო, რომ შემთხვევის ადგილზე მამუელთა რეკორდულად დიდი რაოდენობა იმუშავენს.

მინისძვრამ მთლიანად გაანადგურა კასტელნუოვოს დასახლებული პუნქტის ისტორიული ცენტრი.

აკვილაში რამდენიმე ისტორიული მნიშვნელობის შენობა განად-

გურდა, მათ შორის საკათედრო ტაძარი და ყველა წმინდანის სახელობის ეკლესია, რომელსაც გუმბათი ჩამოეცვრა.

აკვილა რომის ჩრდილო-აღმოსავლეთით 95 კილომეტრის დაშორებით მდებარე, შუა საუკუნეებში აშენებული ისტორიული ქალაქია, რომლის მოსახლეობა 70 ათას კაცს შეადგენს. ქალაქმა ადრე უკვე ორჯერ გადაიტანა მინისძვრა და ორივეჯერ თითქმის განადგურდა. ამჟამად ნგრევას 3 ათასიდან 10 ათას შენობამდე შეეწინა.

მძლავრი მინისძვრა რომშიც კი იგრძნობოდა. პირველი ბიძგები დილის 3:30 წუთზე დაფიქსირდა და თითქმის 10 წუთს გრძელდებოდა. ასობით შენობის გარდა, ელექტროგაყვანილობაც დაზიანდა.

რეგიონში, გუბერნატორ ჯანი კოდის გადაწყვეტილებით, დახურულია ყველა სკოლა და რამდენიმე ცენტრალური გზა.

გვიან ღამითვე სამოქალაქო უსაფრთხოების სამსახურის უფროს ბერტოლაზოს ინიციატივით, ოპერატიული კომიტეტის საგანგებო სხდომა შეიკრიბა. პირველი, შედარებით სუსტი, 3.9 ბალის სიმძლავრის ბიძგები აბრუციის რეგიონში, დაახლოებით, შუალამისთვის დაფიქსირდა. კვირას გვიან საღამოს მინისძვრა იყო ემილია-რომანიის ოლქშიც, სადაც ბიძგების სიმძლავრემ 4.6 ბალს მიაღწია. მინისძვრა ბიძგები დაფიქსირდა ფორლისა და რავენას პრივიციების რამდენიმე ქალაქშიც. გავრცელებული ინფორმაციით, აკვილა ერთადერთი ქალაქია, სადაც მინისძვრას ნგრევა და მსხვერპლი მოჰყვა.

ქვეყნის ცენტრში მომხდარი მინისძვრის შედეგების გამო მთელ იტალიაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებული. შესაბამის დეკრეტს, რომელიც ამდგავარ ვითარებაში ქვეყნის კანონმდებლო-

# თურქეთი ევროკავშირში - ობამას ახალი გზავნილი

თეთრი სახლი მუსლიმანების შემორიგებას ცდილობს

ივან პილაკაძე

გუშინ დაიწყო ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ორდღიანი ვიზიტი ჩვენს მეზობელ თურქეთში. ამით იგი ამთავრებს თავის ვოიაჟს ევროპაში, სადაც, ძირითადად, დიდი ოცულისა და ნატო-ს სამიტებში მონაწილეობისთვის ჩამოვიდა.

პრეზიდენტის რანგში ეს მისი პირველი სტუმრობაა მუსლიმანურ ქვეყანაში. ობამა ცდილობს, გამოასწოროს ერაყთან ომის გამო ბოლო პერიოდში ამერიკისა და თურქეთის ოდნავ გაცივებული ურთიერთობები. მიუხედავად ამისა, ამერიკა თურქეთს განიხილავს როგორც "მნიშვნელოვან მოკავშირეს". ექსპერტების აზრით, ობამას იმედი აქვს, რომ საკუთარი სახელმწიფოს თურქეთთან კავშირის გაუმჯობესების შედეგად მოახერხებს რეგიონში ამ ქვეყნის მზარდი გავლენის გამოყენებას ირანთან და ავღანეთთან ურთიერთობებში. ვიზიტი მნიშვნელოვანი პროტოკოლური ნიუანსით დაიწყო - ამერიკის პრეზიდენტმა გვირგვინით შეამკო ქემალ ათათურქის საფლავი და შემდეგ პრეზი-

დენტ აბდულა გიულთან გამართა მოლაპარაკება.

ვიზიტის დასაწყისში მან ცალსახად დაუჭირა მხარი თურქეთის ლტოლვას ევროკავშირში გასასწავრის ნებლად და ისიც განაცხადა, რომ თურქეთის მიღება ამ ორგანიზაციაში სერიოზული სიგნალი გახდება მთელი მუსლიმანური სამყაროსთვის. ობამას აზრით "ევროპა მხოლოდ მოგებული რჩება ეთნიკური ჯგუფების, ტრადიციებისა და რელიგიის მრავალფეროვნებით. ეს მას არ ასუსტებს. თურქეთის წევრობა კვლავ გააფართოებს და გააძლიერებს ევროპის ფუნდამენტს." თურქეთის პარლამენტში გამოხსენისას ბარაკ ობამამ თურქეთის ხელისუფლებას მოუწოდა, დააჩქაროს ლიბერალური რეფორმების გატარება, მან აღნიშნა, რომ თურქეთის წარმატებები აქვს ეთნიკური ქურთების უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფის საქმეში, მაგრამ საჭიროა ამ რეფორმების ბოლომდე მიყვანა. მანამდე, თურქეთის პრეზიდენტ აბდულა გიულთან ერთად გამართულ პერესკონფერენციაზე განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ყოველთვის მზად არის, დახმარება აღმოუჩინოს

თურქეთს ქურთ სეპარატისტ ამბოხებულებთან ბრძოლაში, რომელთა უმრავლესობაც ჩრდილოეთ ერაყში იმყოფება. "ჩვენ ვნახეთ, რომ თანამშრომლობამ შედეგი გამოიღო," - განაცხადა ბარაკ ობამამ. მანვე დაადასტურა, რომ კანონგარეშე მყოფ "ქურთისტანის მუშათა პარტიას" ამერიკა ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს.

სხვათა შორის, ობამას რეკომენდაციას თურქეთის ევროკავშირში მიღების თაობაზე, გუშინვე მოჰყვა კომენტარები საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისა და გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის მხრიდან. ეს ქვეყნები თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას ეწინააღმდეგებიან, რაც კვლავ დაადასტურეს. სარკოზიმ აღნიშნა, რომ მისი აზრით, თურქეთისთვის პრივილეგირებული პარტნიორის სტატუსი უფრო შესაფერია და ის პოზიციას არ შეიცვლის. მერკელმა ობამას მოწოდების გამო უფრო რბილად განაცხადა, რომ მას სხვა აზრი აქვს.

თურქეთის პარლამენტში გამოსვლისას ბარაკ ობამა ისლამური სამყაროსა და ამერიკის ურთიერთობებ-

საც შეეხო. იგი კატეგორიულად არ ეთანხმება იმ ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მისი ქვეყანა ისლამთან ომის მდგომარეობაში იმყოფება. მან განაცხადა, რომ არ შეიძლება პარალელური გავლენა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისლამური სამყაროს ურთიერთობებსა და მისი ქვეყნის ბრძოლას შორის "ალ კაიდას" ტერორისტულ ქსელთან, რომელიც 2001 წელს ამერიკას თავს დაესხა. "ამერიკის ურთიერთობა ისლამურ ქვეყნებთან არ შეიძლება შემოიფარგლოს "ალ კაიდასთან" ბრძოლით, - აღნიშნა ბარაკ ობამამ. თუმცა იქვე დაუმატა, რომ შეერთებული შტატები არასდროს დაინყებს ომს ისრაელთან. ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ამერიკელი მუსლიმანები ამდიდრებენ ამერიკას, ბევრ ოჯახში არიან მუსლიმანები და ამას გარდა ბევრ ამერიკელს, მათ შორის თვითონ ობამაც, უცხოვრია მუსლიმანურ ქვეყანაში. ობამას აზრით, თურქეთი ისეთი ქვეყნის წარმატებულ მოდელადაც შეიძლება იქცეს, სადაც სხვადასხვა კონფესიის ხალხი მშვიდობიანად ცხოვრობს. მის გამოხვლას თურქი პარლამენტარები

ბით არის გათვალისწინებული, ქვეყნის პრემიერმა სილვიო ბერლუსკონიმ მოაწერა ხელი. სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის უფროსი ბერტოლაზო "საგანგებო ვითარებაში ხელისუფლების სპეციალურ კომისრად" დაინიშნა.

ბერტოლაზო აბრუციში შექმნილ ვითარებას დრამატულს, ხოლო მომხდარი მინისძვრას - იტალიაში "ახალი ათასწლეულის ყველაზე დიდ სტიქიურ უბედურებას" უწოდებს. ის არ გამორიცხავს, რომ მსხვერპლის რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

თვითმხილველთა აზრით, აკვილას შემოგარენში, მთიან რეგიონებში ვითარება თითქმის აპოკალიფსურია და ეს არის ყველაზე დიდი მინისძვრა იტალიის ყველაზე დიდი მინისძვრა იტალიის ხელისუფლებად აქტიურ ზონაში ბოლო წლებში მომხდართა შორის.

უმნიშვნელო მინისძვრა ბიძგები რეგიონში მთელი გასული თვის განმავლობაში შეინიშნებოდა, თუმცა სერიოზულ გართულებებს არავინ ელოდა.

მინისძვრის შედეგების დაძლევაში იტალიას უკვე შესთავაზეს დახმარება რუსეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, ისრაელმა და ევროკავშირმა. თუმცა ქვეყნის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ჯერჯერობით მათ დახმარება არ სჭირდებათ.

აკვილას ცენტრალურ სტადიონზე უკვე შეიქმნა პირველი ბანაკი მინისძვრით დაზარალებულთა დროებით მოსათავსებლად. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან დაზარალებული ზონისკენ პირველადი მოხმარების საგნებით დატვირთული ავტოკოლონები მიემართებიან. თუმცა იმის გამო, რომ აკვილასკენ მიმავალი გზატკეცილი გადაკეტილია, მათ უმნიშვნელო პრობლემები ექმნებათ.

გარდა პირველად დახმარებისა, შესაბამის სამსახურებში უკვე მუშავდება "გრძელვადიანი მოქმედების" გეგმა.

სეისმოლოგიური სამსახურები ვარაუდობენ, რომ დაზარალებულ რეგიონში მინისძვრა ბიძგები კიდევ ორ თვეს გაგრძელდება და შესაძლოა ისინი ორშაბათის მინისძვრაზე არანაკლები სიძლიერის იყოს.

აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

ამერიკის პრეზიდენტი ვრცლად შეეხო თურქეთ-სომხეთის ურთიერთობებსაც. მან იმედი გამოთქვა, რომ აბდულა გიულის მიერ სომხეთთან დაწყებული მოლაპარაკებები ძალიან მალე გამოიღებს შედეგს და ოდითგანვე ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნები კონტაქტების აღდგენას მოახერხებენ - მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებასაც. ბარაკ ობამამ საარჩევნო კამპანიის დროს პირობა დადო, რომ მხარს დაუჭერდა, ოფიციალურად დაერქმიათ გენოციდი 1915 წელს ოტომანის იმპერიაში მომხდარ სომხების ხოცვა-ჟლეტისთვის, რაც თურქეთისთვის მიუღებელია. შესაბამისი კანონპროექტი, დაახლოებით, ერთი თვის წინათ შევიდა კიდევ წარმომადგენელთა პალატაში (ასეთი კანონპროექტი წლების განმავლობაში პერიოდულად შედის ამერიკის კონგრესში განსახილველად). თურქეთში სიტყვიერად გამოხვლას ობამამ დაადასტურა, რომ პოზიცია არ შეუცვლია, თუმცა სიტყვა გენოციდის ხსენებას დიპლომატიურად აარიდა თავი.



# რევოლუ



მარტის ბოლო ქართული სახვითი ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთათვის საინტერესოდ აღინიშნა. განსაკუთრებით კი მათთვის, ვისი მხატვრობაც მადრიდის ერთ-ერთ მთავარ მოედანთან გახნილ ახალ სამხატვრო გალერეაში იხილეს. დალის მოედანზე, ხორხე ხუანის ქუჩაზე გახსნილ გალერეას "საქართველო" ჰქვია. თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორის, პროფესორ გია ბუ-ლაძის პროექტი განხორციელდა. ევროპის გულში ქართველებს რამდენიმე წლით საკუთარი გალერეა ექნებათ. პირველი ექსპოზიციას საზეიმოდ 30 მარტს გაიხსნა. ექსპოზიციას დაახლოებით 12 ქართველი მხატვრის ნამუშევრებს მოიცავს. გახსნას ესწრებოდნენ მადრიდის ბომონდი, მხატვრობის მოყვარულნი, სამეფო ოჯახის წევრები და ქართული დელეგაციის წარმომადგენლები. მათ შორის გახლდათ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი, ბატონი ნიკოლოზ რურუა.

## სიყვარული და სლაიდაზი

გიგა აგლაძე სრულმეტრაჟიან ფილმს იღებს

ნა ვაკაძა

ბოლო დროს საქართველოში იმდენ ფილმს იღებენ, ხანდახან შეიძლება სათვალავიც აგერიოს. 2008 წელის ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერი იყო - ერთბაშად რამდენიმე პრემიერის მომსწრენი გავხდით, 2009 წლის მთავარი კინომოვლენა, "გასეირნება ყარაბაღში 2: კონფლიქტის ზონა" კი კინოთეატრებში დაახლოებით ორი კვირის წინ გამოვიდა და სეანსები დღემდე ანშლავით მიმდინარეობს. რამდენიმე თვეში თბილისის დიდ ეკრანებზე კიდევ ერთი კინონაწარმოები გამოვა - "გოგონა სლაიდიდან", რომლის გადაღების დაწყების შესახებ უკვე გვაუწყეს და სავარაუდოდ პრემიერის ვადაც შეგვატყობინეს.

რეჟისორი ამჟამად ჟურნალ "ბომონდის" მთავარი რედაქტორი, წარსულში კლიპმეიკერი, სინამდვილეში კი კინორეჟისორი გიგა აგლაძე იქნება. მას კინოში არც ისე დიდი გამოცდილება აქვს - მის აქტივში ორიოდ მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფანრის ფილმი ირიცხება, თუმცა ეს არ უშლის ხელს, გაცილებით სერიოზულ პროექტს მოეკიდოს.

ფილმის სცენარზე ერთბაშად რამდენიმე ავტორი მუშაობდა. არ ვიცით როგორი სცენარი გამოვიდა ამ შემთხვევაში, თუმცა მსოფლიო კინოს პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევა, როდესაც სამი ან მეტი სცენარისტის ნამოღვანარი რიგიან ნამუშევარს წარმოადგენს - უბრალოდ, ყველა ცდილობს სიუჟეტი საკუთარი გემოვნების მიხედვით წარმართოს, რაც ხშირ შემთხვევაში უფრო დომხალის სახეს იღებს. რაც შეეხება სცენარის საბოლოო შედეგს, ვფიქრობ, ფილმის სიუჟეტი ფანრის შესაბამისად მსუბუქი და იოლად აღსაქმელი უნდა იყოს: ახალგაზრდა წარმატებული ადამიანი ერთ დღეს საკუთარ თავში მეორე მხარეს აღმოაჩენს, შემდეგ კი თავდავინებით შეუყვარდება გოგონა, რომლისთვის-



საც ნებისმიერი სისულელის ჩასადენად მზადაა. გიგა აგლაძემ ფილმში სათამაშოდ საკმაოდ ცნობილი მსახიობები და ასევე ძალიან ცნობილი, პრაქტიკულად ქართული ბომონდის ნალები

შეარჩია, ეს კი ფილმის პრომოუშენისთვის ნამდვილად ყოჩაღი ნაბიჯია. თავად განსაჯეთ, ფილმში ავთანდილ ცქვიტინიძის, ჯიჯი რეჯინისა და მერაბ სანოძის გარდა სანკტ პეტერბურგიდან სპეციალურად მოწვეულ ფოტოგრაფ, საშა პრივ-შინსაც შეხვდებით, ხოლო მთავარ, ანუ გოგონას "სლაიდიდან" ნათია ახვლედიანი თამაშობს.

ცხადია, არაპროფესიონალებს პარტნიორობას ამ საქმეში გამოცდილებიც გაუწევენ: მთავარ როლს გიორგი ბეჟაშვილი შეასრულებს. მას არც ისე ბევრი თეატრალური და კინო როლი აქვს შესრულებული, თუმცა "გოგონა სლაიდიდან" შესაძლოა, მის ვარსკვლავურ ტრამპლინადაც იქცეს. უკვე ვარსკვლავები არიან მალხაზ ქვრივიშვილი და პაატა გულიაშვილი, რომლებიც უკვე ჩამოყალიბდნენ კომედიური უანრის მსახიობებად, ამრიგად ფილმში კარგად შეძლებენ ხასიათის შეტანას.

ფილმის გადაღების პირველი ეტაპი უკვე დაწყებულია. გადაღებები მხოლოდ თბილისშია დაგეგმილი, ხოლო მისი პრემიერა სავარაუდოდ შემოდგომის დამდეგს, ახალი კინოსეზონის დაწყებისთანავე გაიმართება.



### ეროვნული არქივის ლაბორატორიაში სპარსული დოკუმენტების რესტავრაცია დაიწყო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში დოკუმენტების რესტავრაციის ლაბორატორიაში სპარსული დოკუმენტებზე მუშაობა დაიწყო.

ეროვნულ არქივში დაცული სპარსული საბუთების კოლექცია 1237 დოკუმენტისგან შედგება, რომლებიც XVI-XIX საუკუნეებში თარიღდება. დოკუმენტები წარმოადგენს შაჰის ფირმანებს (ბრძანებებს), ოქმებს, ნასყიდობის წიგნებს, წერილებს, სავაჭრო გარიგებათა ხელწერილებს, არზებს შაჰის ან საქართველოს მეფის რეზოლუციებით.

ეროვნული არქივის დოკუმენტების რესტავრაციის ლაბორატორიაში უკვე ჩატარდა დაზიანებული საბუთების შესწავლა, მათი მასალისა და დაზიანების ხარისხის დადგენა. ამჟამად იწყება სარესტავრაციო სამუშაოები, რომელიც დოკუმენტების განმტკიცებას, დეზინფექციას, მშრალი და სველი წესით განმენდა-დამუშავებას, რესტავრაცია-კონსერვაციას მოიცავს.

სპარსული დოკუმენტების უმრავლესობა დედანია. მათში ასახულია საქართველოსა და მთელი კავკასიის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება.

აღსანიშნავია 1525-1748 წლებში შექმნილი შაჰ აბას I-სა და შაჰ აბას II-ს ფირმანები, რომლებიც საქართველოსა და დაღესტანში მმართველების დანიშვნას, სხვადასხვა პარისათვის მამულის ბოძებას, ჯამაგირისა და გადასახადების მოწესრიგებას, სარწყავი არხის გაყვანას ეხება.

სპარსული საბუთების მასალად გამოყენებულია ალმოსავლური წარმოშობის ქალაღი, აგრეთვე ნარინჯისფერი და ყვითელი ქალაღი ოქროს ვარაყით. დოკუმენტების უმრავლესობა მოხატულია ლურჯი, წითელი და მწვანე ფერის ორნამენტებით.

ეროვნული არქივი მიმდინარე წლის 24 აპრილს სპარსული დოკუმენტების გამოფენის გახსნას გეგმავს, რომელსაც ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკისა და არქივის დელეგაცია დაესწრება. დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში ირანულ და ქართულ არქივებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება. **"მედიანიუსი"**

### გალერეა "ჰობზი" VI გამოფენა- კონკურსის "ოქროს პალიტრის" საზეიმო დახურვა გაიმართება

დღეს გალერეა "ჰობზი" VI გამოფენა-კონკურსის "ოქროს პალიტრის" საზეიმო დახურვა და გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართება.

როგორც კონკურსის პარტნიორი "ბალი" იუნყება, "ბალი" და გალერეა "ჰობზი" მონაწილეებს დიპლომებს და სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემენ, ხოლო გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები გადაეცემა.

შეგახსენებთ, რომ გალერეა "ჰობზი" VI გამოფენა-კონკურსი "ოქროს პალიტრა" 27 მარტს საზეიმოდ გაიხსნა.

გამოფენაში მონაწილეობა 5-15 წლის ასაკის 130-მა ბავშვმა მიიღო.

კონკურსის საზეიმო დახურვაზე ბავშვების საყვარელი პერსონაჟი - "ბალი ბიჭი" ბავშვებს უმასპინძლებს. **პირველი**

### ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ტორე დელ გრეკოს ქართული ხელნაწერების თემაზე ისაუბრეს

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, კორნელი კეკელიძის მუდმივმოქმედ სამეცნიერო სემინარზე, თსუ-ის მსოფლიო ისტორიის მაგისტრანტმა გიორგი ქავთარაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე "ტორე დელ გრეკოს ქართული ხელნაწერები".

თსუ-ის მსოფლიო ისტორიის მაგისტრანტმა ისაუბრა იტალიელი მისიონერების მოღვაწეობაზე საქართველოში და მათ მიერ გატანილ ქართულ ხელნაწერებზე.

ბაგრატიონი მეფეების - ვახტანგ V (შაჰნავაზისა - 1658-1676 წწ.) და გიორგი XI-ის (1676-1688 წწ.) დროს საქართველოში მოღვაწეობდა იტალიელი მისიონერი ბერნარდე ნეაპოლელი, რომელმაც საქართველოდან წაიღო უამრავი ხელნაწერი - როგორც მის მიერ შედგენილი და გადაწერილი, ასევე ქართულ ბიბლიოთეკებში დაცული და მის მიერ მოძიებული. ბერნარდე ნეაპოლელის მიერ საქართველოდან წაღებულ ხელნაწერებს XIX საუკუნის მინორულს მიაკვლიეს ავსტრიელმა ქართველოლოგმა ჰუგო შუხართმა და ქართველმა ისტორიკოსმა მიხეილ თამარაშვილმა. ეს ხელნაწერები ინახებოდა ნეაპოლის რეგიონში მდებარე სოფელ ტორე დელ გრეკოში (იტალია. ბერძნული კომპი). ვულკან ვეზუვის მახლობლად.

ჰუგო შუხართისა და მიხეილ თამარაშვილის მიერ მიკვლეული ხელნაწერების საფუძველზე გიორგი ქავთარაძემ შეისწავლა ბერნარდე ნეაპოლელის მისიონერული მოღვაწეობა საქართველოში. **ჯი-ეიჩ-ენ**

# კაიფ-დრამა სცენის ბარეში

ნინო მამარდაშვილი

ვისთვის ცხოვრება თამაშია, ვისთვის ჭადრაკის დაფა, ვისთვის თეატრი, ადამიანები - მსახიობები. რა როლებს ვასრულებთ, ეს ხან ჩვენზეა დამოკიდებული, ზოგჯერ - არა. მაგრამ ვთამაშობთ და ვცხოვრობთ. ვთამაშობთ საკუთარ თავსაც და სხვებსაც.

მოკლედ, გასაკვირი არაფერია, როდესაც ამ ყველაფერს სცენაზე ადევნებ თავს და გმირის ადგილას საკუთარ თავს წარმოიდგენ. ეს ასეც უნდა იყოს, თუცა ზღვარი შენსა და მსახიობს შორის მაინც არსებობს.

აქ კი ყველაფერი სხვაგვარადაა. ისინი გესაუბრებიან, გეხებიან, გეკითხებიან, შენთან ერთად სვამენ ყავას, გიყვებიან. გთავაზობენ კოკაინს.

მოქმედების ადგილი კაფეა, თანაც ლიტერატურული. თავიდანვე ხვდები, რომ განწირულები არიან. იცინიან, ხუმრობენ, მაგრამ იკარგებიან. დაკარგულები ჩვენს შორის, იქვე კაფეში, ქუჩაში, სახლებში, ჩვენთან და ჩვენს გამოც. ცხოვრება მრავალფეროვანია: მიტინგები და აქციები, არჩევნები და პროტესტები, უმუშევრობა. ღიმილი ნიღაბია. ნიღაბის მიღმა ისინი - ტრაგიკულები. ცოცხლებიც და დახოციულებიც, და ბოდავენ. ბოდავენ მიზეზი, სისხლზე, ტყვიებზე, ომზე. გზები, რომლებზეც ისინი "ხსნასთან" მიდიან. "ხსნა" კოკაინია, ბოდავა კი კაიფ-დრამა.

ეს კი ექსპერიმენტია და რეჟისორ ნინო ბასილიას ეკუთვნის.



მართალია ჯერ აუთვისებელი და ბევრისთვის გაუგებარიც, მაგრამ საკმაოდ ორიგინალური და ახლებური. მიზანი ერთ რამეს ემსახურება - გაანადგუროს ზღვარი მსახიობსა და მკაცრულს შორის. ხოდა ზღვარიც განადგურებულია, ბარიერიც გადალახული და თუ კი ამაში დარწმუნება გასურთ, შეგიძლიათ ყოველ კვირას კინო-თეატრ "ამირანის" ლიტერატურულ კაფეს ესტუმროთ და თვითონ იხილოთ ერთმოქმედებიანი ტრაგიკომედია ოთხი მსახიობის შესრულებით. მონაწილეობენ: ლელა მეტრეველი, გიორგი მეგრელიშვილი, ლაშა მურჯიკიანი და პაატა კიკვაძე.

"ნინო ბასილიამ ეს ბოდავა გადააქცია სპექტაკლად. ეს არაფერს არ ჰგავს. გაურკვეველია. განსაკუთრებით მომწონს ეს სიტუაცია. ვერც კი ვგებულობთ როდის ვინცობთ თამაშს,

როდის ვასრულებთ. ვენერვიულობთ. უშუალო კონტაქტში შევდივართ მაყურებელთან. ალბათ ძალიან დიდი გამოცდილებაა საჭირო, რომ არ ლელავდე.

თვითონ სცენარი ძალიან საინტერესოა და ანერვილი. ბავშვობის მეგობრები კოკაინის გამო ამახინჯებენ ერთმანეთს. ბოდავის დროს ბევრი რამ ამოტივტივდება... მგონი სჯობს ისევ კოკაინის გარეშე" - მუშენება მსახიობი გიორგი მეგრელიშვილი.

ნინო ბასილიას იდეა თავდაპირველად კაფეს სცენაზე დადგამა მდგომარეობა, მაგრამ შემდეგ გადამწყობა უფრო გაერისკვა და ექსპერიმენტისთვის "ამირანის" ლიტერატურული კაფე აირჩია.

"მინდოდა მაყურებელს უფრო განეცადა, უფრო მძაფრად შეეგრძნო ის რასაც გმირები გა-

ნიცდიან. გზა, რომლითაც ისინი ამ მდგომარეობამდე - კოკაინამდე მივიდნენ ის გზაა, რომელსაც სამწუხაროდ დღევანდელი თაობა გადის. ჩვენში გავრცელებული ეს ნარკომანია. ისინი, გმირები მიუხედავად თავიანთი მდგომარეობისა სწუხან ყველაფერზე, მიმდინარე მოვლენებზე. ისინი არ არიან ცარიელი ადამიანები და ბოლომდე ვერ ვწინააღმდეგავთ. მძიმე სოციალური მდგომარეობა, ეს გამუდმებული ცვლილებები, მიტინგები, პროტესტები. ჩვენ ამ ყველაფერში ვიხარებებით და მინდოდა მაყურებელიც ამაში მოხარულიყო.

მართალია, ქართველი მაყურებელი ცოტა დაბნეულია. მათ მაინც ვერ გაიგეს ბოლომდე როგორ ხდება სპექტაკლის სცენის გარეშე თამაში. არ არის დიდი აჭოტაყი, მაგრამ ამისთვის, ჩემი აზრით, საჭიროა ბევრი სპექტაკლი.

თვითონ მსახიობები ძალიან კმაყოფილები არიან. ისინი გაცდნენ თეატრის ფარგლებს, დანგრეს ის სივრცე. ეს მათთვისაც სიახლეა. თუმცა უკვე იმპროვიზაციის უფლებასაც აძლევს საკუთარ თავს, რაც ძალიან კარგად გამოსდით." - ამბობს ნინო ბასილია.

თუ გასურთ კიდევ ერთხელ გადახედოთ თქვენს ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს, კიდევ ერთხელ დაინახოთ საით მივდივართ, რა არის ცუდი და კარგი, კიდევ ერთხელ მოიხაროთ იმ ყველაფერში რაშიც გმირები თქვენთან ერთად იხარებებიან, მაშინ "კოკაინის" შეგრძნება გელით.

## ბურ კესიდის და სანდენს კიდმი ბრუნდებიან



ზე გადაიღებენ, რომლის ხელმძღვანელიც 2006 წლიდან სწორედ კრუზი გახდა. ჯერჯერობით არაა ცნობილი, ტომ კრუზი თავად ითავებს თუ არა რეჟისორობას, რაც გამორიცხული ნამდვილად არ იქნება. "როდესაც ეს ფილმი ვნახე, 8 წლის ვიყავი და წლების განმავლობაში დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი. ასე მეგონა, სრულიად სხვა სამყარო აღმოვაჩინე, თავს კი ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე რომელიმე პერსონაჟის ადგილას. ერთი ფილმი მაქვს, როდის დავიწყებთ ფილმის გადაღებას, რომელიც ალბათ ჩემს უმთავრეს კინოპროექტად იქცევა", - განაცხადა ჟურნალისტებთან

საუბრისას მსახიობმა.

რაც შეეხება ბურ კესიდის როლზე ჯონ ტრავოლტას მონაწილეობა, ამაზე ტომ კრუზი მხოლოდ იმას ამბობს, რომ ჯონი ძალიან კარგად მოერგება პოლ ნიუმენის მიერ შესანიშნავად განსახიერებულ პერსონაჟს და რომ მისის დიდი ხნის ოცნებაა, ტრავოლტასთან ერთად თამაში. თუმცა ისიც ყველამ იცის, რომ ამ არჩევანის მთავარი მიზეზი საინტელოლოგიური რელიგიაა, რომლის აქტიური მიმდევრებიც ეს მსახიობები არიან.

"ბურ კესიდი და სანდენს კიდე" 1969 წელს რეჟისორმა ჯორჯ როი ჰილმა გადაიღო. ფილმის სიუჟეტი რეალურ ის-

ტორიას ეფუძნება, რომელიც ამერიკის დასავლეთით მეოცე საუკუნის დამდეგს ხდებოდა. ბურ კესიდმი და სანდენს კიდმი თავი ბანკებისა და მატარებლების გაქურდვით გაითქვეს და ლამის ეროვნულ გმირებად იქცნენ. ისინი მალე იქცნენ ველური დასავლეთის სიმბოლოებად და აგრესიის ნაცვლად ხალხში სიმპათიას და სიყვარულს იწვევდნენ.

ჯორჯ როი ჰილის ფილმი შვიდ "ოსკარზე" იყო წარდგენილი, თუმცა მხოლოდ ოთხი ჯილდოს მოპოვება შეძლო: ოპერატორული ნამუშევრისთვის, სიმღერისთვის, მუსიკისთვისა და სცენარისთვის. ასევე ნომინირებულები იყვნენ ფილმის რეჟისორი და ხმის ეფექტების სპეციალისტები.

ფილმი ეკრანებზე გამოსვლიდან ცოტა ხანში პოპულტურის ნაწილად იქცა. ოსკაროსანი სიმღერა Raindrops Keep Fallin' on My Head დღემდე საკულტოდ მიიჩნევა, რედფორდი-ნიუმენის წყვილი კი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო კინოდაყვად აღიარეს (მათ მოგვიანებით ჯორჯ როი ჰილის კიდევ ერთ საკულტო ფილმში, 7 "ოსკარის" მფლობელ "აფორაში" თამაშეს). გარდა ამისა, 1978 წელს რობერტ რედფორდის მიერ დაარსებული დამოუკიდებელი კინოს ფესტივალი სწორედ მისი გმირის, სანდენსის სახელს ატარებს.



# "ნიაშორი" და ქართული დოკუმენტური კინოს პრობლემა

ბალა ჩაქარიშვილი

სათავგადასავლო, ალპინისტური და ექსტრემალური ფილმების მე-6 ფესტივალი "ნიაშორი" დასრულდა და გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ.

ფესტივალი, რომ რამდენიმე ეტაპად ტარდება და ფილმების კვირეულის დანაყოფად, რომ ფოტო და ლიტერატურული კონკურსებისაგან შედგება, ამაზე უკვე გაცნობთ, და ამ ფესტივალში, რომ ყველაზე დიდი დონით ჟურნალისტიკა მონაწილეობენ, ამაზეც უკვე ვისაუბრეთ. ახლა კი უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ 5 წლის მანძილზე ფესტივალისათვის მხარდაჭერისათვის დიპლომები გადაეცათ სატელევიზიო პროგრამებს "დილა მშვიდობისა, საქართველოს" და "ალიონს", ასევე "რუსთავი 2"-ის პროდიუსერს ქეთი ქებაძეს და "იმედის" ჟურნალისტს რამაზ გიორგაშვილს. ფესტივალის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ცალკე დიპლომით აღინიშნა საპატრიარქოს ტელევიზიის დამსახურება, რომელმაც თავისი ეთერი დაუთმო 6 წლის მანძილზე ფესტივალის გამარჯვებული ქართული ფილმების ჩვენებას.

დასახელდნენ ფოტოკონკურსის ნომინაციების გამარჯვებულები. ჟიურიმ, საუკეთესო პეიზაჟის ნომინაციაში დაასახელა ავსტრიელი პეტერ შონის ნამუშევარი, საუკეთესო ექსტრემალურ ფოტოდ ჰერალდ ფაშინგერისა და გიორგი ბენდელავას ფოტოები სცნეს. გამოვლინდა საუკეთესო ალპინისტური ფოტოც, რომლის ავტორია ალპინისტი და დოკუმენტალისტი ნიკა ლებანიძე.

კონკურსში მონაწილეობდა უკრაინელი ხელოვანის ანდრეი სიდორუკის ფოტონამუშევრებიც, რომელიც ოცნებობს საქართველოში ჩამოსვლაზე. მართალია, ანდრეიმ ვერ გაიმარჯვა, მაგრამ ფესტივალი "ნიაშორი" სხვა გამარჯვებულებთან ერთად საქართველოში მის მოწვევაზე მინც იზრუნებს.

რაც შეეხება "ნიაშორის" ლიტერატურულ კონკურსს, მას ერთ



თი გამარჯვებული ჰყავს - გიორგი ჯოხარიძე, რომელმაც ფესტივალის 4 ფინალისტთან ერთად გარემოს დაცვის სამინისტროს დახმარებით ვაშლოვანის ეროვნულ პარკში

იმოგზაურა. ფინალისტებს ერთგვარ მართლმადიდებლურ რეჟიმში მოუწიათ ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა თემაზე "დაკარგული სამოთხე". ვაშლოვანის დაცული ტერიტორია, თავისი ნახევრადუდაბნოს კლიმატით და ლანდშაფტებით ნამდვილ დაკარგულ სამოთხედ შეიძლება ჩაითვალოს, სადაც ახალგაზრდა მწერლებმა იდეებითა და ახალი შეგრძნებებით დატვირთულგმა საინტერესო ნაწარმოებები შექმნეს.

ფესტივალის მთავარი მიზანი კი - სათავგადასავლო დოკუმენტური ფილმების კონკურსი, სადაც 22 ფილმი მონაწილეობდა, სამწუხაროდ არაფრით გამოირჩეოდა წინა წლებისაგან. ამ შემთხვევაში კონკურსზე წარმოდგენილი ქართული ფილმების შესახებ ვსაუბრობთ. ერთი რამ კი სათქმელია, თვალშისაცემად გაიზარდა ქართული ფილმების რაოდენობა. საწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ხარისხზე. საუკეთესო დებიუტისათვის ლევან ლავაზიძის პრიზი გადაეცა ალპინისტ ირაკლი გუგუშვილის მიერ ჰიმალაიში გადაღებულ ფილმს "სამკაული დედისათვის". საუკეთესო ქართული ფილმის ნომინაციაში ალექო გაბუნისა "მთის რაინდი". საუკეთესო სათავგა-

დასავლო ფილმის ნომინაციაში კი გაიმარჯვა სტუდია "პოლიგრიმი" დამზადებულმა ფილმმა "კავკასია-უკანასკნელი ედემი".

როგორც ჟიურის თავმჯდომარე, კინომცოდნე ქეთი ჯაფარიძე ამბობს, სამოყვარულო ფილმების დონიდან ვერ ავიწიეთ: კამერა ირხევა, კადრში ოპერატორის გახშირებული სუნქვა ისმის, რეჟისორი ფინალს ვერ პოულობს და ა. შ. მაშინ როცა უცხოელი ოპერატორი ისე ჰკიდია თოკზე, რომ ეს არც კი იგრძნობა. ძალიან სამწუხაროა, რომ ქართული ახალგაზრდები არ უყურებენ უცხოურ ფილმებს.

ქეთი ჯაფარიძე: "წლებადელი რეპერტუარული რამდენიმე ფილმი მართლაც საინტერესო იყო. მაგალითად the Sharp End - ნუთიანი ფილმი ექსტრემზე, სადაც არაჩვეულებრივი სილამაზით იყო ნაჩვენები კედელზე ცოცხა, მთამსვლელობა, პარაპლანებით ფრენა. თანამედროვე საფრენი აპარატები ჩიტების ფორმის კოსტუმს წარმოადგენს, რომელსაც მფრინავი ზედ იცმევს. საოცარი სანახაობა იყო მათი ყურება. ფილმი ამერიკელი რეჟისორების ნამუშევარს წარმოადგენს, და გადაღებულია ამერიკულ დაცულ ტერიტორიაზე. მონაწილეები კითხულობენ, სად იქნება შემდეგი? ვინაიდან ფილმმა "ნიაშორის" გრან-პრი აიღო, უნდა ვივარაუდოთ, რომ შემდეგი მათი გაფრენა თუშეთის დაცულ ტერიტორიაზე იქნება. არჩევულებრივად მალაღ

დონეზე იყო გადაღებული სათავგადასავლო ნომინაციაში გამარჯვებული ფილმი "კავკასიის უკანასკნელი ედემი" რომელიც კავკასიის ფლორისა და ფაუნის გადარჩენას ეხებოდა.

და ცალკე უნდა გამოვყო საუკეთესო უცხოური ფილმის ნომინაციაში გამარჯვებული ფილმი Eenghigtemment, სადაც 8 წუთში იყო ჩატეული ახალგაზრდა ბიჭის ისტორია, რომელსაც არჩევანი აქვს ორ სამყაროს შორის - ალპინისტურსა და რიგითი ჩინოვნიკის საქმიანობას შორის და მისი ცხოვრების მაგალითზე რეჟისორი გვთავაზობს: "უნდა იცოდე, ვინ გინდა იყო". და მთელი ცხოვრებისეული ფილოსოფია ისე კარგად არის ჩამოყალიბებული 8 წუთში, რასაც ქართველი რეჟისორები 1 საათში ვერ ამბობენ. ჩვენი რეჟისორების ერთი მთავარი პრობლემა ის, რომ გადაღებულ კადრებს ვერ ელვეიან და წერტილის დასმა უჭირთ. ჩემთვის გაუგებარია, როგორ მოახერხა რეჟისორმა, რომ ჯავახეთის ექსპედიციაზე გადაღებულ ფილმში ერთი ლამაზი კადრი არ იყო.

სამი წელია ფესტივალის ჟიური ვარ, პირველად რომ ვიყავი, მაშინაც ეს ვთქვი, ჩვენი ახალგაზრდები კამერით აფიქსირებენ იმას, რასაც ხედავენ და ეს კი ფილმის გადაღება არ არის. ქართული ფილმებისგან განსხვავებით უცხოური ფილმები იმითაც გამოირჩეოდნენ, რომ ყოველ მათგანს ჰქონდა რაღაც ისტორია, ყოველი ფილმი იყო პატარა ამბავი.

და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ქართულ დოკუმენტურ კინოს დღეს ჟურნალისტები აკეთებენ და არა კინოდოკუმენტალისტები, მაშინ ფესტივალ "ნიაშორზე" წარმოდგენილი ფილმების პრობლემა არა მხოლოდ ექსტრემალური კინოს პრობლემაა, არამედ მთლიანად იმ სექტორის, რასაც დღეს ქართული დოკუმენტური კინო ჰქვია.

სტატისა კი ოპტიმისტურ ნოტაზე დავასრულებთ და ვიტყვით, რომ მომავალი წლისათვის "ნიაშორს" საკუთარი ჰიმინი ექნება, ამას უკვე ფესტივალს აჩიკო გულედანი შეჰპირდა.

## "Puma"-ს და "Lotos"-ის სპორტული ტანსაცმელი წარწერით "Made in Georgia" გამოვა

სპორტული ტანსაცმლის ცნობილი მწარმოებლები "Puma"-ს და "Lotos"-ის პროდუქცია "Made in Georgia"-ს წარწერით გამოვა.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დღეს ქუთაისის ავტოქარხნის დასახლებაში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

"რამდენიმე დღის წინ თურქ ინვესტორებს შევხვდი. ისინი ქუთაისში სპორტული ტანსაცმლის ცნობილი მწარმოებლების "Puma"-ს და "Lotos"-ის პროდუქციას გამოშვებს წარწერით "დამზადებულია საქართველოში" გეგმავენ", - განაცხადა სააკაშვილმა. შეგახსენებთ, რომ ქუთაისის ავტოქარხნის დასახლებაში ვიზიტამდე პრეზიდენტი ბაგრატიის ტაძარს ეწვია, სადაც ტაძრის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს და მშენებლობაზე პირველი ქვის ფილა დადო. "პირველი"

## ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ხარებას აღნიშნავს

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ხარებას აღნიშნავს. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე წმინდა სამების საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვას აღავლენს.

საზეიმო წირვა საქართველოს ყველა მოქმედ ეკლესიაში აღევლინება. როგორც წმინდა ნერილი გადმოგვცემს, 7 აპრილს წმინდა ქალწულ მარიამს გაბრიელ მთავარანგელოზი გამოუცხადა და ახარა, რომ მასზე სულიწმინდა გადმოვიდა და იგი ღვთის ძეს იესოს შობდა. ხარება საქართველოში მე-7 საუკუნიდან აღინიშნება. დღესასწაულის გამო დიდმარხვაში დღევანდელი დღე თევზით ხსნილია. "პირველი"

## სასკოლო კონკურსს განათლების მინისტრი დაესწრო

თბილისის „ 24-ე საჯარო სკოლაში ჰუმანიტარული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს შორის გამართულ სასკოლო კონკურსს - "გწერ თავისუფალ თემას" - განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკოლოზ გვარამია დაესწრო.

კონკურსში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის და დედაქალაქის სკოლებიდან განსაკუთრებული ჰუმანიტარული ნიჭით დაჯილდოებული X-XII კლასების 300-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

კონკურსანტებს ასარჩევად 10 თემა წარუდგინეს სხვადასხვა ჰუმანიტარული სფეროდან: მათ შორის: ლიტერატურული და ისტორიული, ხელოვნებიდან, ფილოსოფიიდან და ა.შ.

მინისტრის განცხადებით, აღნიშნული კონკურსი მომავალ თაობას სწორად აღზრდაში შეუწყობს ხელს და იმედოვნებს, რომ მოსწავლეები საინტერესო ნაწერებს წარმოადგენენ.

„ 24-ე საჯარო სკოლის დირექტორის გია მურულუის განმარტებით, კონკურსანტები ნაწერებს დღეს და ხვალ შეაფასებენ, შემდეგ კი გამოვლინდება 10 გამარჯვებული.

10 გამარჯვებულს მწერლების, ლიტერატორების, პედაგოგებისა და ჟურნალისტებისგან დაკომპლექტებული კომპეტენტური ჟიური გამოავლენს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყველა გამარჯვებულ მოსწავლეს პორტატულ კომპიუტერებს გადასცემს.

I ადგილზე გასული მოსწავლე გამომცემლობა "ტრიასისგან" 1 წლის( განმავლობაში 200 ლარიან სტიპენდიას მიიღებს).

II საპრიზო ადგილის მფლობელი (სასწავლო ცენტრ "რუსული სახლისგან" 100 ლარიანი სტიპენდიით დაჯილდოვდება.

დანარჩენი მოსწავლეები პრიზებს კონკურსის სხვა პარტნიორი ორგანიზაციებისგან მიიღებენ. საუკეთესო თხზულებები ერთ კრებულად გამოიცემა. "შედიანუსი"

## რინგო სტარმა და პოლ მაკარტინი ნიუ-იორკში კონცერტი გამართეს

ჯგუფ "The Beatles"-ის წევრებმა რინგო სტარმა და პოლ მაკარტინი ნიუ-იორკის ერთ-ერთ სცენაზე კონცერტი გამართეს. მათ "ლივერპული ითხულის" ცნობილი ჰიტები შეასრულეს.

კონცერტიდან შემოსული თანხა ახალგაზრდებში სულიერი ფასეულობების პროპაგანდას მოხმარდება.

ყოფილი "ბიტლებმა" აღნიშნული კონცერტი დალუპული ჯონ ლენონისა და ჰარისონის ხსოვნას მიუძღვნეს. შოუში მონაწილეობას მიიღეს ასევე შერილ ქროუმ, ბენ ჰარფერმა და ედი ვედერმა.

საქველმოქმედო კონცერტზე პოლ მაკარტინი სხვა სიმღერებთან ერთად ასევე შეასრულა ჯგუფის ცნობილი ჰიტი "Blackbird" ("შავი ჩიტი"), რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პრეზიდენტს ბარაკ ობამას მიუძღვნა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო მუსიკოსების პირველი ერთობლივი კონცერტი 2009 წლის შემდეგ. "შედიანუსი"

# Destiny's Child-ი ალბომის ჩასანერად ბაართიანდა

2005 წელს დაშლილი ამერიკული პოპ-ჯგუფის Destiny's Child-ის შემადგენლობის ფინალური მონაწილეები, ახალი ალბომის ჩასანერად კვლავ გაერთიანდნენ. მომღერლები: ბიონს ნოულზი, კელი როულენდი და მიშელ უილიამსი უახლოეს მომავალში სტუდიისკენ გაემართებიან. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დაერქმევა მათ ახალ ალბომს, არ ვრცელდება. უცნობია, ასევე ტრიოს ახალი სტუდიური ჩანაწერის სავარაუდო თარიღი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გოგონები ახალი ალბომის ჩანაწერს დათანხმდნენ და დაეკისრათ ვალდებულება, რომ Columbia Records-ის ლეიბლის წინაშე კონტრაქტის მოვალეობები შეასრულონ. Destiny's Child-ის ხელშეკრულების თანახმად, გოგონებმა მინიმუმ ხუთი ალბომი უნდა გამოუშვან, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ დღეს პოპ-ჯგუფის დის-



კოგრაფია მხოლოდ ოთხ სრულფასოვან სტუდიურ ალბომს ითვლის. Destiny's Child-ის უკანასკნელი ალბომი 2004 წელს გამოვიდა. დისკმა -Destiny Fulfilled, Billboard200-ის ჰიტ-პარადში მეორე ადგილი დაიკავა.

ჯგუფ Destiny's Child-ის დაშლის შემდეგ, მის მონაწილეებს მუსიკალური მოღვაწეობა არ შეუწყვეტიათ. ბიონს ნოულზმა სოლო კარიერა დაიწყო და სამი ალბომი ჩანერა, რომელთაგანაც ბოლო დისკი - I Am... Sasha Fierce, 2008 წელს გამოვიდა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალურ ჩარტში პირველი ადგილი დაიკავა. კელი როულენდმა ორი ალბომი ჩანერა, ხოლო მიშელ უილიამსმა სამი დისკი გამოუშვა. ერთად მომღერლები უკანასკნელად 2007 წელს ლოს ანჯელესში, ბიონსეს ტურნეს The Beyonce Experience-ს ფარგლებში მის შოუზე გამოვიდნენ.



### განათლების სამინისტრომ უმაღლესი განათლების დაფინანსების საკითხზე განმარტებები გააკეთა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უმაღლესი განათლების დაფინანსების საკითხზე განმარტებები გააკეთა. განათლების სამინისტრომ უმაღლესი განათლების დაფინანსების საკითხზე განმარტებები გააკეთა.

სამინისტროსთან "ერთიანი სტუდენტური ალიანსის" მიერ პერიოდულად გამართული საპროტესტო აქციები არ ასახავს სტუდენტთა რეალურ ინტერესებს. მიუხედავად სამინისტროს მხრიდან "ერთიანი სტუდენტური ალიანსის" წევრებთან არაერთი შეხვედრისა და განმარტებისა, წევრები აგრძელებენ საკითხის პოლიტიზირებას და დეზინფორმაციის გავრცელებას, - აცხადებენ განათლების სამინისტროში,

მათივე თქმით, მოთხოვნები, რომლებიც წამოყენებულია ამ აქციებზე, სრულიად არარეალური და არაადეკვატურია. ადამიანების გარკვეული ჯგუფი, რომელიც სტუდენტებთან ერთად მუდმივად ჩნდება ამ აქციებზე, არავითარ კავშირში არაა რომელიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და ამასთან, მათთვის უცხო არაა პოლიტიკური ქვეტექსტის მქონე პროვოკაციული ქმედებები.

ძმესაბამისად, საზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეს აქციები არ ისახავს მიზნად რეალური პრობლემის გადაჭრას და ატარებს არა სტუდენტურ, არამედ მკაფიოდ გამოხატულ პოლიტიკურ ხასიათს.

სამინისტრო საჭიროდ მიიჩნევს კიდევ ერთხელ გააკეთოს განმარტება უმაღლესი განათლების დაფინანსებაში ცვლილებებთან დაკავშირებით. კერძოდ: 2009 წელს: უმაღლესი განათლების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან წინა წელთან შედარებით, 2,5-ჯერ გაიზარდა (6,5 მილიონი ლარიდან 15 მილიონი ლარამდე); აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში 103 ფაკულტეტზე შენარჩუნებულია ძველი ღირებულება და სწავლების ღირებულება არ აღემატება 1 500 ლარს; იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებმაც გაზარდეს სწავლის საფასური, ახალი გადასახადი არ შეეხებოდათ უკვე ჩარიცხულ სტუდენტებს; 2008 წელს უმაღლეს სასწავლებლებში საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული 15 500 სტუდენტიდან სახელმწიფომ (სრულად ან ნაწილობრივ) დააფინანსა 8 200 სტუდენტი; სოციალური გრანტის ფარგლებში დაფინანსდა 600-მდე სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტი; საზღვარგარეთ მცხოვრები 87 ქართველი სტუდენტი; აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული 600 ბაკალავრი და 160 მაგისტრანტი; სამინისტროს მიერ იგეგმება კიდევ 450 ბაკალავრისა და 120 მაგისტრანტის დაფინანსება; დაახლოებით 2 000 წარჩინებული სტუდენტი სტიპენდიას იღებს; წელს პირველად სახელმწიფო დაფინანსებს მაგისტრანტების კონტინგენტის 7-ს რაზეც ბიუჯეტში 2 მლნ. ლარია გათვალისწინებული

ამგვარად, სტუდენტთა საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს მიერ სრულად ან ნაწილობრივ ფინანსდება.

რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გადასახადს, აღნიშნული სუბიექტები, როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, თავად განსაზღვრავენ თავიანთ ფინანსურ პოლიტიკას - როგორც სწავლის საფასურს, ასევე პროფესორ-მასწავლებლების ხელფასების ოდენობას. "მედიანიუსი"

### გიგი უგულავა პროექტის - "ვიცნობდეთ ჩემს დედაქალაქს" პრეზენტაციას დაესწრო

თბილისის მერი გიგი უგულავა ახალი პროექტის - "ვიცნობდეთ ჩემს დედაქალაქს" პრეზენტაციას დაესწრო.

როგორც "პირველს" დედაქალაქის მერიიდან აცნობეს, უგულავა ასევე 98-ე საჯარო სკოლაში შეკრებილ სხვადასხვა ეთნიკური წარმომომის მოსწავლეებს შეხვდა.

"თბილისში სხვადასხვა ეთნიკური წარმომომის მოსახლეობა ცხოვრობს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვა. რეგიონებში მცხოვრები მრავალეთნიკური მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის დედაქალაქის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის უკეთ გაცნობის მიზნით შეიქმნა პროექტი "ვიცნობდეთ ჩემს დედაქალაქს", რომლის მიზანია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში თბილისის - როგორც მათი ქვეყნის დედაქალაქის მკაფიო დეტერმინაცია, მათი ინტეგრაცია დედაქალაქის სამოქალაქო ინფრასტრუქტურასთან და დამეგობრება დედაქალაქის სკოლებთან," - განმარტა უგულავამ.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს რეგიონებიდან 10 სკოლის სხვადასხვა ეთნიკური წარმომომის 250 მოსწავლის ჩამოყვანა თბილისში და მათთვის თბილისის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების გაცნობა.

გუშინ მრავალეთნიკური კულტურული მემკვიდრეობის მცირე კონცერტი გაიმართა. "პირველი"

# მხუთა ცივილიზაციის, ანუ ჩვენი დასასრული

## ენო მამარდაშვილი

ალბათ მიგიცევიათ ყურადღება როდენ ხშირად წერენ უცხოური ინტერნეტ საიტები, თუ სხვადასხვა ტიპის გამოცემები სამყაროს დასასრულზე. XXI საუკუნის დამდეგს მოლოდინები მრავალგვარი გახლდათ. მას შემდეგ, რაც ახალი საუკუნე დადგა და დედამიწაზე სიცოცხლე გრძელდება, ადამიანებს უკვე სულ სხვა თარიღი ანაღვლებთ - 2012 წელი, კონკრეტულად ამ წლის დეკემბერი.

თამაშის წესები ასეთია: აგროვებ ყველა საათს, რომელიც შენს ირგვლივაა, კალენდარს, რომლითაც ცხოვრობ და ყველას ერთად ადებ სანაგვე ყუთში. თამაშს "მაიას კალენდარი" ჰქვია და მისი წესებით თამაში მხოლოდ 2012 წლამდე შესაძლებელი რატომ?

მოკლედ, კვირაში არც მეტი, არც ნაკლები 13 დღეა. ხოლო თვის დღეებს 20 სახელი აქვს. წლის ხანგრძლივობა ასეთია: 365,242129, ხოლო ათვლის სანყისი თარიღი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3113 წლის 13 აგვისტოა. მოკლედ, დაიბნეოთ, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინაა.

ალბათ მიხვდით, რომ მაიას ცივილიზაციაზე ვსაუბრობ, რომელმაც 2 კალენდრის გარდა 3 ხელნაწერი (კოდექსი) დაგიტოვა და ამ ყველაფრის თამაშად აღქმა შეიძლება უკბილო ხუმრობადაც ჩამოთვალოთ. იმის გამო, რომ მაიას თითქმის ყველა ხელნაწერი განადგურებულ იქნა კათოლიკე ბერების მიერ, შემორჩენილი სამიდან მხოლოდ ერთის ნაკითხვა შესაძლებელი და იგი დრეზდენში ინახება. დანარჩენი ორი არსებობს, მაგრამ დამწვარ მდგომარეობაში და პარიზის და მადრიდის კოდექსები ეწოდება. ამ ორის ნაკითხვა შეუძლებელია, ამიტომ მათი არსებობა მხოლოდ მაიას არსებობის კიდევ ერთ დასტურად შეიძლება გამოვიყენოთ. ნაპოვნი ორი კალენდრიდან ერთი 365 ციკლიანია, მეორე კი 240-იანი. ნიგში Popul Vuh, რომელშიც მაიას კულტურის შესახებ ცოდნაა აღწერილი, მეორე კალენდარი ღმერთების კალენდრად და მიჩნეულია, ანუ ის დედამიწაზე არ მოქმედებს. რაც შეეხება დედამიწას, რომლებზეც ჩვენი პრობლემებითა თუ ბედნიერებებით ერთად დავაბიჯებთ და სულ არ გვინდა მისი მიტოვება, საქმე



ცოტა სხვაგვარადაა.

მართალია, თავის დროზე ჯორდანო ბრუნო კოცონზე დავნებით, მაგრამ დღეს უკვე ყველას გვჯერა და ვიცით, რომ დედამიწა, მრგვალია და თანაც ღერძის გარშემო ტრიალებს. ანუ იგი ერთი და იგივე წერტილზე არასდროს ჩერდება. ჩვენმა მეცნიერებმა კი დაადგინეს რომ ყოველ 25 800 წელიწადში დედამიწა იდეალურ მდგომარეობას უბრუნდება. ანუ ხდება ერთი დიდი ციკლის დასასრული. თუმცა ზუსტად, რა თქმა უნდა, არავინ იცის რა ხდება ამ იდეალური მდგომარეობის დროს.

კარგად არც ის იციან, რა მოხდება 2012 წლის 21 დეკემბერს, რომელზეც უკვე არა ერთი ფილმი გადაღებული და უამრავი ნიგნია შეთხზული. მაგრამ ყველას მოსაზრება (მაიას წინასწარმეტყველება) ერთმანეთს იმით ჰგავს, რომ ამ დღეს რაღაცის დასასრული აუცილებლად დადგება. ბოლო ხანებში თარიღმა 2012 - მა ინტერნეტზე ააჭრეს და ბევრისთვის პანიკის საგნად იქცა.

Popul Vuh - ში, ნახსენებია, რომ ღმერთები სწორედ დედამიწის ამ იდეალური მდგომარეობისას ჩამოვლენ დედამიწაზე. ეს მდგომარეობა კი გამოთვლების შედეგად ზუსტად 2012 წლის 21 დეკემბერია. მას ისიც ემატება, რომ მაიას კალენდარი, რომელიც ყველაზე ზუსტ კალენდრად მიჩნეულია, 2012 წელს სრულდება.

მართალია სტატისა საქმოდ უემოციოდ "ვანკაუნებ" ვორდის დოკუმენტში და დარწმუნებული ვარ მაინცდამაინც არც თქვენ გჯერათ მსოფლიოს დასასრულის (ასე რომ იყოს ეს სტატია ალბათ არ იქნებოდა გამოქ-

ვეყნებული), მაგრამ მოდით ამ ყველაფერს ასტროლოგიური თვალსაზრისით შევხედოთ და ასტროლოგ ბორის პიასიკის ახსნა-განმარტებას გავცნოთ:

"2012 წლის 12 დეკემბერი არის დღე, როდესაც ზეცაში პლანეტების თანმიმდევრობა მარტივ კონფიგურაციას შორდება. ეს მთვარის შუქის ბოლო თვეა, რომელიც ხალხს მიერ "სატანურად" მიიჩნევა. ხდება იუპიტერისა და შავი მთვარის შეერთება პლანეტის ნეგატიურ კარმასთან და შეიძლება დაძაბული პლანეტარული ასპექტი პლუტონისა ურანთან. ამასთან ერთად, ყველაფერი ეს მოხდება მაშინ, როდესაც ურანი იცვლის თავისი მოძრაობის მიმართულებას, რასაც გამოიწვევს მიმდინარე მძიმე გამანადგურებელი პროცესები. არ ვიცი ეს დღე უკანასკნელი იქნება თუ არა ჩვენთვის, მაგრამ თავის ტყვიულ ნამდვილად არ მოგვაკლებს." - აცხადებს ასტროლოგი ბორის პიასიკი.

მაია მიიჩნევდა, რომ ადამიანის (კაცობრიობის) შექმნამდე უკვე გასული იყო მსგავსი 4 ციკლი, ანუ "4 მზე". მეცნიერი იყო კაცობრიობის 4 სახის რასა, რომელიც განადგურდა მსოფლიო უდიდესი კატაკლიზმების დროს და მხოლოდ რამოდენიმე ადამიანი გადარჩა. ამ რამოდენიმე ადამიანმა კი მოიტანა ეს ამბავი ჩვენამდე.

"პირველი მზე" გრძელდება 4008 წელი და განადგურებული იქნა მიწისქვეშა, "მეორე მზე" 4010 წელი და განადგურდა ქარიშხლით, "მესამე მზე" 4081 წელი - განადგურდა ცეცხლის წვიმით, რაც გამოიწვია ვულკანების კრატერებმა. "მეოთხე მზე" განადგურა წყალდიდობამ. "მეხუთე მზის" განადგურებას მაია

წინასწარმეტყველებდა დედამიწის მდებარეობის ცვლილებით.

ახლა უკვე დარწმუნებული ვარ ძალიან დაინტერესდით ამ დღესთან დაკავშირებით და ალბათ უკვე კომპიუტერებს უსხედხართ და youtube-ს მიმართავთ (თუ ეს მანამდე არ გააკეთეთ), მაგრამ სანამ ამას შეუდგებით განსხვავებულ აზრსაც გავცნოთ:

"მაიას კალენდრის შესახებ ცნობილი გახდა იმ ჩვეულების წყალობით, რომლის მიხედვითაც ტომი ყოველ დასახლებაში ქვის ბოძებს დგამდა და მასზე მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს წერდა. თავიანთი კალენდრის აღწერა მაიას ხალხმა არ დაგვიტოვა. შეიძლება იყო კიდევაც, მაგრამ ასი ათასობით ასეთი ნიგნის დამწვარი იქნა კათოლიკე ბერების მიერ. შემორჩა მხოლოდ ქვის ნაგებობები. ასე, რომ ჩვენ მხოლოდ განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმა შეგვიძლია მათი კალენდრის სისტემის შესახებ.

მაგალითად, მთი კალენდრის უდიდესი სიზუსტის შესახებ არაფერზეა დაფუძნებული. როდესაც გიჩვენებენ წელიწადში დღეების რაოდენობის რიცხვს და ათასობით ნიშნს მძიმის შემდეგ, ნუ დაუჯერებთ. კალენდარი - ეს არ არის ქრონომეტრი. ყველაზე დიდი საზომი კალენდრისა დღეა, ხოლო მის საზომად გამოიყენება საათი." - აცხადებს მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ატომის კვლევის ინსტიტუტის მკვლევარი მეცნიერი ვლადიმერ პახომოვი.

და საერთოდ, მოსალოდნელი დღე მართლაც დატვირთულია ცვლილებებით, მაგრამ მარტივზე მარტივია იმის მიხედვით, რომ ეს უბრალოდ ციკლის დასასრულია, ანუ ახლის დასაწყისი. იქვე, სადაც სრულდება ძველი, იწყება ახალი და ეს სულაც არ ნიშნავს აუცილებელ კატასტროფებს. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მელ გიბსონის ფანტაზიით გადაღებული ფილმი "აპოკალიპსი" რეალობას შეესაბამება. ეს ნიშნავს, რომ ბევრმა ჭკვიანმა ადამიანმა ჭკვიანურად გამოიყენა ჩვენს დებადებამდე არსებული მართლაც გამოგონებულ განვითარებული ცივილიზაციის ვარაუდი, რომელმაც ჩვენამდე ბუნდოვანი სახით მოაღწია და მასზე ფილმების, სიუჟეტების, ნიგნების (ან სტატეების) საშუალებით დიდი ფულიც გააკეთა. თუმცა ფაქტები ფაქტებად რჩება, მთავარ მოვლენას კი რომელიც ჩვენ ასე ძალიან გვინტერესებს და გვაღელვებს სულ რაღაც 3 წელიწადში ერთად ვიხილავთ.

# "ოზბორნების ოჯახი" აკრძალეს



რო",- ამბობს კევილირი.

Osbornes:Reload-ის პირველი ეპიზოდი ტელეეთერის საშუალებით 31 მარტის საღ-

მოს უნდა გადაცემულიყო, თუმცა WPGX FOX28-ის განწყვეტილებით იგი მულტიპლიკაციურმა სერიალმა "სიმფ-

სონებმა" შეცვალა, რომელიც შემდეგშიც ტელეშოუს მაგივრად გავა ეთერში. ტელეარხის განაწვევტილებამ 37 ათასიანი ქალაქის ტელემაყურებლის უკმაყოფილება გამოიწვია, რომელიც აღმფოთებულები არიან იმით, რომ WPGX FOX28-მა მათ მაგივრად გადაწყვიტა, რას უნდა უყურონ და რას არა.

რეალითი-შოუ "ოსბორნის ოჯახი"-ს პრემიერა 2002 წლის 5 მარტს ტელეარხ MTV-ზე გაიმართა. ამავე წელს სერიალმა პრემია "გრემი" მიიღო. სამი წლის განმავლობაში ტელეარხმა 52 სერია გამოუშვა. ბოლო სერია ტელეეკრანზე 2005 წლის 21 მარტს გავიდა.



# სპორტი

## ერთი მოხსნა ორმაზ დუბლაზდა

მომავალი სეზონიდან NBA-ში ორი ქართველი კალათბურთელი ითამაშებს. გიორგი შერმადინი ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს აპირებდა NBA-ს დრაფტზე დადგომას, თუმცა, ამერიკელი სპეციალისტების რჩევით, ახალგაზრდა ქართველი ცენტრი ევროპაში დაბრუნდა და ერთი სეზონი "ბებერ კონტინენტზე" უნდა გაატაროს, სადაც მომავალი დრაფტისთვის ემზადება. გიორგი ძლიერ გუნდში მოხვდა და, როგორც ჩანს, საკუთარი ადგილი ბერძნულ "პანათინაიკოსში" იპოვა. "პანა" ევროპული კალათბურთის ალიანსის გრანდია. აქ წარმატებული თამაშის წყალობით შერმადინი მომავალ დრაფტზე კარგ ადგილს მიიღებს და სოლიდურ გუნდში მოხვედრისა და სარფიანი კონტრაქტის გაფორმების შანსიც ექნება. ამის თქმის საფუძველს ქართველი ცენტრის თამაში იძლევა.

საბერძნეთის საკალათბურთო ჩემპიონატის 23-ე ტურში შერმადინის "პანათინაიკოსმა" "ოლიმპიას" 80:61 სძლია, ქართველმა ცენტრმა კი მისთვის სარეკორდო 30 წუთს ითამაშა და 12 ქულა, 9 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა.

შერმადინმა 6-ე საჯარიმო და 6-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, მეტოქეები კი მასზე 8-ჯერ დაჯარიმდნენ. თავად ქართველმა კალათბურთელმა 3 პერსონალური ფოლი მიიღო და ბურთი სამჯერ დაკარგა. სტატისტიკა მართლაც რომ შთამბეჭდავია. გიორგის ხანმოკლე ბერძნულ კარიერაში ეს საუკეთესო მატჩი იყო.

"პანათინაიკოსს" 20 მოგება და 3 მარცხი აქვს და სატურნირო ცხრილში მხოლოდ მარადი-



შერმადინმა "პანათინაიკოსში" საუკეთესო მატჩი გამართა

ულ მეტოქეს - "ოლიმპიკოსს" ჩამორჩება.

რაც შეეხება ევროპაში მოთამაშე დანარჩენ ქართველ კალათბურთელებს, მათთვის გასული უქმეები წარმატებული გამოდგა.

იტალიის ჩემპიონატში ნიკა მეტრეველის "სიენა მონტეპასკი" 24-ე ტურში 23-ე გამარჯ-

ვება იზიგმა და ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა.

სიენელებმა "სოლსონიკა რიეტის" სტუმრად 69:54 მოუგეს. ქართველმა კალათბურთელმა 2 წუთში 1 ქულა მოაგროვა. მეტრეველმა 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და 1 ჯარიმა მიიღო.

ესპანეთის საკალათბურთო

ჩემპიონატის 29-ე ტური წარმატებული გამოდგა საქართველოს ნაკრების წევრთა გუნდებისთვის. ნიკოლოზ ცქიტიშვილის "ფუენლაბრადამ" "ბრუესასთან" გასვლით მატჩში 78:73 იმარჯვა, ტაირონ ელისის "კახასოლმა" კი "კალისე გრან კანარიას" 89:81 სძლია.

ცქიტიშვილმა მადრიდელთა სასტარტო ხუთეულში ითამაშა, თუმცა 13 წუთში 1 ქულას და 3 მოხსნას დასჯერდა. ნიკოლოზმა თითო ორქულიანი და სამქულიანი ააცილა, ორი საჯარიმო-დან კი ერთი ჩააგდო.

"ფუენლაბრადას" რიგებში ანტონიო ბუენომ 28 ქულა მიითვალა და შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

ცქიტიშვილის კლუბს 13 მოგება და 14 მარცხი აქვს და მე-9 ადგილზეა. ასეთივე შედეგი აქვს "რიკო მანრესას", რომელიც პლეი-ოფში გამსვლელ მე-8 ადგილს ინარჩუნებს და ფუენლაბრადელთა მთავარი კონკურენტი.

ელისმა მოედანზე 39 წუთი გაატარა და "კახასოლს" მოგებულ მატჩში 11 ქულა, 2 მოხსნა და 2 პასი შეაწია. ტაირონმა 3-დან 2 ორქულიანი, 7-დან 2 სამქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო. სევილიელთა ლიდერმა კლეი ტაკერმა კი 23 ქულა მიითვალა.

"კახასოლი" ჩემპიონატის სტარტიდან კარგა ხანს აუტსაიდერი იყო, ახლა კი 18 მარცხი და 9 გამარჯვება აქვს და მე-12 ადგილამდე აღზევა.

თორნიკე შენგელიას "პამესა", რომელიც გასულ კვირას ევროტასის "რვათა ფინალში" თამაშობდა, 29-ე ტურის მატჩს "ტაუსს" წინააღმდეგ 16 აპრილს გამართავს.



## დავით კოჭირიძის სკაი

### სიბარათის ფული

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი, ისევე როგორც დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, ოცნის ხდება. მანამდე კი ჩვენ ბოლომდე ჩვენი ფეხბურთი არ გვექონია, დიდი საბჭოთა სპორტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ვიყავით. ვიყავით ხომიანად, რადგან არანაირი ტვირთი არ გვაძიძიებდა, ყველაფერს საბჭოთა საქართველოს მუქთა ბიუჯეტი გვიგვარებდა იმ დონეზე, რა დონეზეც კომუნისტური წყობა იძლეოდა საშუალებას.

დავაკონკრეტოთ - საქართველოს ჰყავდა ერთი გუნდი, თბილისის "დინამო", რომელიც ქვეყნის რჩეული ბიჭები იკრიბებოდნენ. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ერთადერთი საფეხბურთო საზღვარეული ეს ერთი გუნდი გახლდათ, მისი საჭირო ინფრასტრუქტურით, ეკიპირებით და სხვა წვრილმანებით უზრუნველყოფა. ეს იყო ერთგვარი საქართველოს ნაკრები, რომელიც ყოველ ტურში სხვა სოციალისტურ ნაკრებებს ხედებოდა. იმ გუნდებს, რომელთა უმრავლესობა საკმაოდ ხარისხიანი იყო და რომლებსაც ქართველები ვერ ვიტანდით. ამიტომ არსებობდა კონკურენცია და სადაც კონკურენციაა, იქვეა დონაც.

მუქთა კომუნისტური მაცუთი ტყუილად არ მიხსენებია, რადგან სწორედ მისი დიდი დამსახურება იყო, რომ ძლიერები ვიყავით სპორტში, კინოში, თეატრში და კიდევ რამდენიმე სფეროში. ეს იყო იდეალური გარემო ზარმატი ქართველი ჰომო საპენსიონისთვის - ყველაფერს ცეკვაში ჩარტყმული ერთი ბეჭედი აგვარებდა, ქართველს მხოლოდ უნდა ეფიქრა და ბრძანებები გაეცა.

მერე "ესესერი" დაიწყო და დავრჩით მარტო. დავრჩით და დღემდე გვგონია, რომ ყველაფერს მხოლოდ ფიქრით და ბრძანებებით მოვაგვარებთ, დღემდე გვესიზმრება ის დაუვიწყარი, სანუკვარი, ყოვლისშემძლე ცეკას ბეჭედი. მაგრამ ფაფუ, აღარა!

მარტო დარჩა ქართული ფეხბურთი. ნიჭიერი თაობით, ორი-სამი სტადიონით, ბევრი გუნდით და, რაც მთავარია, იძულებითი პასუხისმგებლობით. ამ მუერნობაში ყველაფერი თავდაყირა დადგა: მისახედი რაღაც-რულაციების რაოდენობა-მასშტაბი და მიმხედველთა რაოდენობა-ვინაობაც. ზუსტად ისე, როგორც მთლიანად ქვეყანაში მოხდა. და აი, მანდ გავიჭედეთ.

თავიდან ეროვნული გრძნობებით აღტკინებული ხალხი ინერციით დადიოდა შეჩვეულ სანახაობაზე, თუმცა დროთა განმავლობაში ინტერესმა იკლო, ქვეყანა განავლით სახე კასრს დაემსაგავსა, გაცვდა ინფრასტრუქტურა, ძროხები შეესივნენ მოედნებს, გათავდა ბურთები და ბუცები, შემცირდა ხელფასები, მომრავლდნენ მთვრალი და გაჩხერილი ფეხბურთელები და შედეგად ქართული ფეხბურთი დავიდა იმ ლეგენდარულ ფრაზამდე, რომელიც ერთი კლუბის პრეზიდენტმა ისროლა და რომელიც ზუსტად ასახავდა ქართული ფეხბურთის მდგომარეობას: "რა დღეში ვართ, კაცო, შვიდი თვეა ხელფასებს ვერ ვარიგებთ, ბიჭებს სიგარეტის ფულიც აღარა აქვთ!"

ჩვენ კი რატომღაც სულ გვიანდა, რომ ბიჭებმა, რომლებსაც სიგარეტის ფული აღარა აქვთ, მოუგონ ბიჭებს, რომლებიც დილით მიირთმევენ ლოზანის გარეუბანში ამოზღული ყველს, სადილობენ მითან ჰოლანდიაში გამოზრდილი ძროხის არტალით და ვახშობენ ნორვეგიის სანაპიროებზე დაჭერილი თევზით, ვარჯიშობენ ოაზისში, თამაშობენ ოაზისში და თვეში იმხელა ხელფასს იღებენ, რამდენიც ჩვენთან სიგარეტის ქარხნის გახსნას ესაჭიროება.

იმ ბნელმა პერიოდმა, რომელიც ყველამ ერთად გამოვიარეთ, ქართველი ფეხბურთელების რამდენიმე თაობა გადაყალბა, შედეგად კი დღეს ნაკრებში გვყავს ახალგაზრდა და ბებერი ფეხბურთელები, რომელთა შორის არ არიან 23, 24, 25, 26, 27, 28 წლის მოთამაშეები. ეს კი, მოგეხსენებათ, ის ასაკია, როცა ფეხბურთელი იხსნება და ყველაზე კარგ ფეხბურთს თამაშობს.

და ვინც გვყავს, იმათი ხარისხი როგორია? "ბებრების" უმეტესობა სულ უფრო იშვიათად ჩნდება მოედანზე - ზოგი ტრავმირებულია, ზოგსაც სათადარიგო სკამსაც აღარ აკარებენ მეორეხარისხოვან ევროპულ კლუბებში. რაც შეეხება ახალგაზრდებს, აქ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, რადგან მათთან საუკეთესოები უკვე ცივილიზაციაში არიან გასული, სწორადაც იკვებებიან, სწორადაც ვარჯიშობენ და "სიგარეტის ფულიც აქვთ."

მომავალ სამშაბათამდე

## წყალბიხტრომალთა ქართული დებიუტი ცხრიანით შეფასდა

საქართველოს წყალში მხტომელთა ნაკრების წევრებმა შოთა კორახაშვილმა და ჭოლა ჭანტურია მათის სადებიუტო ევროპის ჩემპიონატზე (ტურინი, იტალია) სინქრონულ ხტომაში 353 ქულით მეცხრე ადგილი დაიკავეს, ხოლო ინდივიდუალურ ხტომაში ჭანტურია 323 ქულით მე-19 იყო, ხოლო კორახაშვილი 318 ქულით მე-20.



საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივნის ირაკლი ბართაიას თქმით, საქართველოს ნაკრები უკეთეს შედეგს გეგმავდა, მაგრამ პროგრამა

მაქსიმუმის ნაცვლად, პროგრამა მინიმუმი შესრულდა. ბართაია ამის მიზეზს იმაში ხედავს, რომ ნაკრების წევრებმა საკუთარი ძალები პირველად მოსინჯეს უფროსი ასაკის ევროპის ჩემპიონატზე. ამიტომ, მსაჯები მათი ასპარეზობის შეფასებისას მეტნაკლებად მიკერძოებული იყ-

ნენ. ანუ ნებისმიერი შედეგის შემთხვევაშიც საქართველოს ნაკრებს სხვებზე წინ მაინც არ გაუშვებდნენ.

"როდესაც ექვსი ხტომიდან პირველ ოთხს მსაჯები სათანადოდ არ გიფასებენ, ცხადია ყოველივე სპორტსმენის ფსიქოლოგიურ განწყობაზე მოქმე-

დებს. ამ შემთხვევაში ჭანტურის ვგულისხმობ, თორემ კორახაშვილისგან ინდივიდუალური მი-14 ან მე-15 ადგილს ველოდით, რადგან მასთან ერთად ტურნირზე მხოლოდ ერთი პოლონელი სპორტსმენი გამოდიოდა, რომელიც 1991 წელს იყო დაბადებული. ჩემპიონატის მსვლე-

ლობისას ჭანტურისა შესაძლებლობის მაქსიმუმი რომ გამოეცვლინა, იგივე სინქრონულ ხტომაში მეექვსე ან მეშვიდე ადგილზე გავიწვინდით. მიუხედავად ამისა, მიმანჩია, რომ დებიუტის კვალობაზე ნორმალური შედეგი გვექონდა

როგორც არ უნდა იყოს, ჩვენს წარუმატებლობას მარტო მსაჯებსაც ვერ დაევაბრალე. ისე კი სინქრონულ ხტომაში მათი საუკეთესო მაჩვენებელი 380 ქულაა და ევროპის ჩემპიონატზე 370 ქულის მოპოვება თავისუფლად შეეძლოთ, მაგრამ ინერვიულეს და ბავშვური შეცდომები დაუშვეს. თუმცა, საბოლოო ჯამში პოლონეთისა და პოლანდიის გუნდები დავამარცხეთ, რაც სულაც არაა პატარა საქმე".

საქართველოს წყალშიხტომელთა ნაკრების სამომავლო გეგმები კი ასეთია: მათი ბოლოს მადრიდის გრან-პრი, ხოლო ივლისში მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა.



### 17 წლამდელებმა ჰოლანდიური შეკრება გამარჯვებით დაასრულეს

საქართველოს 17 წლამდელებმა ნაკრებმა ჰოლანდიური შეკრების დასკვნით მატჩში გერმანული "როტ ვაისის" ჭაბუკთა გუნდს 1:0 სძლია. ესენური კლუბის კარში გადამწყვეტი გოლი ვალერიან ყაზაიშვილმა გაიტანა.

პირველ საკონტროლო მატჩში საქართველოს ნაკრები ამსტერდამის "აიაქსის" თანატოლებთან 0:2 დამარცხდა. 17 წლამდელები ჰოლანდიის დედაქალაქში "ფონდი არველაისა" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობით იყვნენ.

### მორიგი დაპირისპირება რუსებთან

საფრანგეთის ქალაქ ტულონში დაწყებულ ევროპის 18 წლამდელ მორაგბეთა ჩემპიონატში საქართველოს ნაკრები ინგლისთან 3:60 დამარცხდა და, უკეთეს შემთხვევაში, მე-5 ადგილს დაიკავებს. მეოთხედფინალურ მატჩებში საქართველო ერთადერთი გუნდი იყო, რომელმაც ლელო ვერ გაიტანა, მთავარ სენსაციად კი იქცა რუმინეთის მიერ იტალიის დამარცხება.

8 აპრილს საქართველოს ნაკრები რუსეთს შეერკინება და, გამარჯვების შემთხვევაში, 11 აპრილს, მე-5 ადგილისთვის იტალიასა და ბელგიას შორის გამარჯვებულს შეერკინება.

18 წლამდელებმა ნაკრების მწვრთნელებს პაატა ნარიმანაშვილსა და დავით ჩავლიშვილს საფრანგეთში ასეთი შემაღდგენლობა ჰყავთ ნაყვანილი:

უჩა მჭედლიშვილი (ლელო), ზახვა კობახიძე (ყოჩები), ვანო გაბროშვილი (აკადემია), გიორგი ონიანი (ქუთაისი), ლევან გოგოლაშვილი (აკადემია), გიორგი მარგიანი (აკადემია), დავით ლოსაბერიძე (ქუთაისი), აკა ხიპაშვილი (ლელო), ლუკა კვარაცხელია (ყოჩები), ზვიად ოდიშარია (ქუთაისი), ჯიმი ლამბაძე (ლელო), გიორგი მისრიაშვილი (არმაზი), გიორგი ვეფხვაძე (ლოკომოტივი), ზურაბ ჟვანია (ფოთი), ლევან შენგელია (ყოჩები), ლევან ჩილაჩავა (უნივერსიტეტი), შალვა ჯაჯავია (ქუთაისი), მერაბ მატყავა (ფოთი), გიორგი ჟღენტა (უნივერსიტეტი), კოტე მიქაუტაძე (არმაზი), რევაზ ჟღენტა (არმაზი), ბექა ბინაძე (ივერია), გიორგი ტყეშელაძე (ყოჩები), გიორგი ჭყიძე (ლელო), ლევან თხელიძე (ქუთაისი), ზვიად ბუჯიაშვილი (ივერია).

ევროპის 18 წლამდელებმა ჩემპიონატი. ტულონი (საფრანგეთი)

- მეოთხედფინალი
- საფრანგეთი - ბელგია 59:5
- იტალია - რუმინეთი 13:27
- ირლანდია - რუსეთი 32:5
- ინგლისი - საქართველო 60:3
- 8 აპრილი
- მეხუთე-მეჩვიდმეტე ადგილებისთვის
- იტალია - ბელგია
- საქართველო - რუსეთი
- ნახევარფინალი
- საფრანგეთი - რუმინეთი
- ირლანდია - ინგლისი

### ადეზიორს ტიტულები მოენატრა

ტოგოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" თავდამსხმელს ემანუელ ადეზიორს ზედიზედ მეოთხე სეზონის უტიტულოდ დასრულება არ სურს. ამის შესახებ ბრიტანული სპორტული ინტერნეტგამოცემა Sky Sports-ი იუწყება.

"ნებისმიერი ფეხბურთელი ახალი ტიტულის მოგებაზე ოცნებობს. როდესაც "არსენალში" გადავიდი, მეგობრები და პარტნიორები მეუბნებოდნენ, რომ სერიოზული წარმატების მიღწევის საუცხოო შანსი მქონდა. თუმცა, ბოლო სამი წლის განმავლობაში ტიტულების გარეშე და გულდამძიმებული მიგდოდი შევებულვარა. დადგა მოგების დრო. არ ვიცი, შესაძლოა, უფრო მეტი მინდა, ვიდრე სხვებს. თუმცა, მთავარია, რომ წარმატების მიღწევის სურვილი გვაქვს. ყოველთვის არსებობენ მოთამაშეები, რომლებიც სხვებზე ბედნიერი არიან, რადგან ხშირად იმარჯვებენ. ეს სრულიად ნორმალურია," - განაცხადა ადეზიორმა.

### მადლიერი ნევილი

ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანმა გარი ნევილმა, რომელიც ტრავმით გამოწვეული პაუზის გამო, იანერის შემდეგ, მოედანზე პირველად "ასტონ ვილასთან" 3:2 მოგებულ მატჩში გამოჩნდა, აღიარა, რომ თამაში ძალიან გაუჭირდა.

ამის შესახებ ბრიტანული სპორტული ინტერნეტგამოცემა Sky Sports-ი იუწყება.

"ასტონ ვილამ" ცხოვრება გავივით. პირველ ტაიმში ფიზიკურად გამოვირდა, რადგან რამდენიმე თვე არ მითამაშია. თუმცა, მერე, თანდათან, თავს სულ უფრო უკეთ ვგრძობდი. ზედიზედ ორი ნაკრების შემდეგ გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია. გუნდის ახალგაზრდა თაობისგან დახმარება გვჭირდება. ვთვლი, რომ დენი უელბეკი და ფედერიკო მარჩადა საუცხოოდ ჩაერთნენ თამაშში. განსაკუთრებით ეს ეხება მარჩადას, რომელმაც ბოლო თვეებში საგრძნობლად მოუმატა. ის ძალიან ძლიერი ფეხბურთელია და მეტოქის კართან არ იბნევა, რაც იშვიათობაა ახალგაზრდა მოთამაშეებში. გატანილმა გოლმა მას წარმოუდგენელი სიხარული მოუტანა. ჩვენც მარჩადას მადლობელი ვართ," - განაცხადა ნევილმა, რომლის კაპიტნობით მანჩესტერულმა "ასტონ ვილას" არბიტრის მიერ დამატებული დროში მარჩადას გოლი მოუგეს.

განვლილი მატჩის დასასრულს 34 წლის ნევილი დაცვის ცენტრში ნემანია ვიდინთან იყო შეწყველებული, მაგრამ მეტოქის ფორვარდ ჯონ კარუეს მუხრებთან თავს ძლივს ართმევდა. ამიტომ მოგვიანებით ადგილი გაუტყველა ჯონ ომის, რის შემდეგაც მარჯვენა ფლანგზე დაიკავა ადგილი.

# მჭედლიძე მინდორს დაუბრუნდა



კობიშვილი "შალკეს" გამარჯვებაში საკუთარი წვლილი შეიტანა

გასულ კვირაში საქართველოს ნაკრების უსუსურმა თამაშმა დათრგუნა ქართველი გულშემატიკვარი. სანაკრებო ბატალიების შემდეგ ფეხბურთელები საკუთარ კლუბებს დაუბრუნდნენ, ეროვნული ჩემპიონატები ყველა ქვეყანაში განახლდა და ქართული ლეგიონიც ჩაერთო საქმეში, თუმცა, პირდაპირ უნდა ითქვას, საქართველოს საზღვრებს გარეთ მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები ბევრით ვერაფრით გვახარებენ. ცხადია, პირველ ყოვლისა, საუკეთესო საფეხბურთო პირველობებს გვულისხმობთ.

ერთადერთი სასიხარულო ფაქტი ის არის, რომ ნაკრებში მიღებული ტრავმა სწრაფად მოიშუშა ლევან მჭედლიძემ და სერია A-ში "პალერმოს" მაისურით გამოჩნდა. ქართველმა ფორვარდმა "ტორინოს" წინააღმდეგ გამართულ მატჩში ბოლო 9 წუთს ითამაშა.

სიცოცხლე კლუბმა ტურინელები 1:0 დაამარცხა, გადამწყვეტი ბურთი კი 51-ე წუთზე ურუგველმა კავანიმ გაიტანა. 81-ე წუთზე მჭედლიძე სწორედ გოლის ავტორის ნაცვლად ჩაერთო თამაშში.

მატჩი ძალიან უხეში გამოდგა, რის გამოც არბიტრმა 8 ყვითელი ბარათი აჩვენა.

30 ტურის თავზე "პალერმოს" 45 ქულა აქვს და მე-7 ადგილზეა. მოიგო "მილანმაც", რომლის შემადგენლობაში კვლავ ვერ თამაშობს კახა კალაძე. მიზეზი ის ოპერაციაა, რომელიც საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ამას წინათ გაიკეთა.

გერმანიის ბუნდესლიგის 26-ე ტური გაიხსნა ბილფელდის "არმიინიასა" და გელზენკირხენის "შალკეს" მატჩით, რომელიც სტუმრებმა 2:0 მოიგეს.

"შალკეს" რიგებში, ტაიმების ბოლო წუთებზე, თავი გამოიჩინეს ჯეფერსონ ფარფანმა და კეეინ კურანიმ.

სტუმართა შემადგენლობაში ლევან კობიაშვილმა შეუცვლელად ითამაშა. ლევან ყენია გუნდის განაცხადში კი იყო, მაგრამ სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარა. "შალკეს" 40 ქულა მოუგროვდა და მე-7 ადგილზე გადაინაცვლა.

გასაგარდნად განვიხილოთ "კარლსრუემ" მიოხენგლადბახის "ბორუსიასთან" ფრედ - 0:0 დასასრულა მატჩი. ალექსანდრე იაშვილი თავისი გუნდის შემადგენლობაში არ გამოჩენილა.

მე-2 ბუნდესლიგაში მინდორზე ისევ ვერ ვიხილეთ ოთარ ხიზანეიშვილი, რომლის "აუსგებურგი" "ინგოლშტადტს" დაუზავდა (1:1). ქართველი მცველის კლუბი 26 მატჩში მოპოვებული 32 ქულით მეთერთმეტეა.

ხიზანეიშვილის მსგავსად, არ უთამაშიათ ლევან ცქიტიშვილს და მათე ლვინიანიძეს. მათეს "მიუნხენ 1860"-მა "ოსნაბრუკთან" 1:1 ითამაშა და 34 ქულით მე-10 ადგილი შეინარჩუნა, ცქიტიშვილის "ვეენმა" კი "ზანქტ პაულის" 3:1 სძლია, თუმცა 20 ქულით ბოლო - მე-18 პოზიციაზე დარჩა.

ინგლისურ პრემიერლიგაში ისევ არ უთამაშია ქართველ მცველს ზურაბ ხიზანეიშვილს,

რომლის "ბლექბერნმა" "ტოტენჰემ ჰოთსპურს" უმნიშვნელოვანეს მატჩში 2:1 სძლია.

ლონდონელები რობი კინის გოლის წყალობით იგებდნენ, თუმცა, პალასიოსის გაძევების შემდეგ ბლექბერნელები გონს მოვიდნენ და დასკვნით ათ წუთში გამარჯვება გამოჭედეს. "ტოტენჰემის" კარი დალაშქრეს მაკარტიმ და ოიერმა. 31 ტურის შემდეგ "ბლექბერნი" 34 ქულით მე-14 ადგილზეა.

ავსტრიის საფეხბურთო ჩემპიონატის 28-ე ტურში გიორგი შაშიაშვილისა და ილია კანდელიაკის "სტურმი" "მატერსბურგს" ესტუმრა და ფრედ - 0:0 ითამაშა. ქართველმა ფეხბურთელებმა შეუცვლელად ითამაშეს, შაშიაშვილი კი ყვითელ ბარათს გამოიჩინა.

"სტურმი" 47 ქულით მე-4 ადგილს ინარჩუნებს.

ჩეხეთის პირველობაში იოლი გამარჯვება იხეიმა პლზენის "ვიკტორიამ", რომლის ღირსებას იცავს დიმიტრი ტატანაშვილი.

გამბრინუსლიგის 22-ე ტურში პლზენელებმა ოსტრავაში "ბანიკი" 4:1 დაამარცხეს. ქართველი ფორვარდი მინდორზე არ გამოჩენილა.

"ვიკტორია" 27 ქულით მე-10 საფეხურზეა.

ფეხბურთის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-20 ტურში დავით იმედაშვილის "ნიორეგიჰაზა" აუტსაიდერ ბუდაპეშტის "რეკს" ესტუმრა და 1:1 ითამაშა.

ქართველმა მცველმა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა და 59-ე წუთზე დოსოს დაუთმო ადგილი.

"ნიორეგიჰაზას" 26 ქულით მე-10 საფეხური უკავია.

გაიმართა უკრაინის ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები. შაბათს მოედანზე ქართველთა ხუთი გუნდი გავიდა სათამაშოდ, მაგრამ ჩვენი თანამემამულეები განსაკუთრებული წარმატებით ვერ დაიკვენიან.

ოდესაში ირაკლი მოდებაძის "ჩერნომორეცმა" ლადო ბურდულისა და ვასილ გიგიაძის "ტავრიას" უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა. ქართველ ფეხბურ-

თელთაგან მხოლოდ გიგიაძე მოხვდა გუნდის განაცხადში, მაგრამ თამაშში ჩართვის საშუალება არ ჰქონია. 22 თამაშის შემდეგ "ჩერნომორეცი" 26 ქულით მე-9 პოზიციაზეა, "ტავრია" კი 21 თამაშში მოპოვებული 23 ქულით მე-12 ადგილს იკავებს.

კიევი ლაშა ჯაკობიას "არსენალმა" "ლოვს" უმასპინძლა და გოლების გარეშე დაშორდა. ქართველი ფეხბურთელი 55-ე წუთზე ჩაერთო თამაშში და ოც წუთში საგულე გადაცემის ჩანერა შეეძლო აქტივში, მისი გადაცემის შემდეგ მეტოქის კარის წინ მარტოდმარტო მდგომ გუსევის ბურთი პირდაპირ მეკარისთვის რომ არ გაერტყა. დედაქალაქური კლუბი 21 მატჩში მოპოვებული ამდენივე ქულით მე-13 ადგილზეა და გასაგარდნი ბონისგან ოთხი ქულა აშორებს.

გიორგი ციმაკურიძის "ზარია" "კრივბასს" სტუმრად ეთამაშა და 1:2 დამარცხდა. ქართველმა მცველმა შეხვედრა სრულად ჩაატარა და მე-17 წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო, მანამდე კი გუნდი გოლისგან იხსნა. 22 თამაშში მოპოვებული 24 ქულით "ზარია" ცხრილის მე-11 ადგილზეა.

საკუთარ მოედანზე ბოლო ადგილზე მყოფ "ზარკოვთან" 0:2 დამარცხდა ალექსანდრე გურულის "კარპატი". ქართველი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში იყო და შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა, მაგრამ გუნდს ქულის მოპოვებაშიც ვერ დაეხმარა. 22 თამაშის შემდეგ "კარპატი" 28 ქულით ცხრილის მერვე ადგილზეა. პირველობაზე ხარკოვში "მეტალისტთან" გამართული მატჩი 2:3 დათმო "დნიპრომ".

სანდრო კობახიძე და ბექა გოციანიძე დეპროპეტროვსკელთა სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარან, ჯაბა კანკავა კი სტუმართა განაცხადში არ ყოფილა.

22 ტურის თავზე "დნიპრო" 29-ე ადგილზეა.

კიევის "დინამოს" განაცხადში ვერ მოხვდა მალხაზ ასათიანი. ქართველი ფეხბურთელის კლუბმა დონეცკში "მე-

ტალურგს" 2:0 მოუგო და 58 ქულით ერთპიროვნული ლიდერთა შეინარჩუნა.

მორიგი ტური გაიმართა რუსეთის ჩემპიონატშიც. სამი ტურის შემდეგ კვლავ ნაუგებელია ლევან გვაზავას "ტერეკი", რომელმაც დღეს მოსკოვის "დინამოს" უმასპინძლა და ჯაბრაილოვის მიერ მე-13 წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვა. ქართველი ნახევარმცველი მოედანზე პირველივე წუთებიდან გამოვიდა და 90-ე წუთამდე მოუხდა თამაში, შემდეგ კი შეცვალეს. ამ დროის განმავლობაში გვაზავა აქტიური იყო, არაერთხელ სახიფათოდ ჩაანოდა ბურთი მეტოქის საჯარიმოში, 85-ე წუთზე თავადაც შეეძლო გატანა, მაგრამ მისი დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ძელს მოხვდა. სამი თამაშის შემდეგ "ტერეკი" 7 ქულით ცხრილის სათავეშია, თუმცა დღეს გასამართი მატჩების შემდეგ, სავარაუდოდ, ჩამოქვეითდება.

"ტერეკის" მსგავსად, ნაუგებელია ყაზანის "რუბინიც", რომლის რიგებში ნუკრი რევიშვილი, ლაშა სალუქვაძე და დავით კვიციანი ირიცხებიან. ყაზანელებმა დღეს "მოსკვას" უმასპინძლეს და გოლების გარეშე დამორდნენ. ქართველ ფეხბურთელთაგან მხოლოდ სალუქვაძე მოხვდა განაცხადში, მაგრამ მთელი მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. სამ თამაშში მოპოვებული ხუთი ქულით "რუბინი" ცხრილის მეოთხე ადგილზეა.

ნალჩიკის "სპარტაკი" მოსკოველ თანაკლუბებთან გასვლით მატჩში 0:2 დამარცხდა. სტუმართა რიგებში ალექსანდრე ამისთლაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, გოგითა გოგუა კი 69-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

ნალჩიკელები 1 ქულით ბოლო, მე-16 ადგილზე არიან.

ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იხეიმა მოსკოვის "ლოკომოტივმა". რკინიგზელებმა სამარის "კრილია სოვეტოვს" 2:1 სძლიეს და 5 ქულით მე-6 ადგილზე გადაინაცვლეს.

"ლოკოს" მაისურით დავით მუჯირმა 90 წუთს ითამაშა.



# ბოგელი ღიბის გამარჯვებულს "ბარსელონაში" ხედავს

